საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

СТРАН, СОВЕТОВ АВТОНОМНЫХ РЕСПУБЛИК

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 51 (19493). ◆ პარასკევი, 28 თებერვალი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

აღმშენებლობის პროგრამას — შემოქმედებითი ინიციატივა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, რომელიც პარტიის XXVII ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია. ისინი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთლიანად და სავსებით იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას და განსაზღვრავენ, თუ რა კონკრეტული მონაწილეობა უნდა მიიღონ აღმშენებლობის დიადი პროგრამის რეალიზაციაში. თავიანთ შრომითს კოლექტივებში, მთლიანად ქვეყანაში საქმის ვითარებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აცხადებენ ყველგან მიმდინარე მიტინგებისა და კრებების მონაწილენი, რომ გადაწყვეტილი აქვთ ყოველი ღონე იხმარონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში თვისობრივი გარდაქმნებისთვის.

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ დარგს, ყოველ საწარმოს უნდა ჰქონდეს წარმოების უწყვეტი განახლების ზუსტი პროგრამა. პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების ამ სიტყვებმა განსაზღვრეს თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში გამართული მიტინგის მთავარი შინაარსი.

მიტინგის გახსნისას საწარმოს პარტკომის მდივანმა რ. სანიკიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები სახავენ წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის დაჩქარების კონკრეტულ გზებსა და შესაძლებლობებს.

მიტინგზე გამოსვლისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ხარატმა გ. გაჩეჩილაძემ, ელექტროშემდუღებელმა ა. ავაქიძემ, ხარატმა ზ. ფირცხალაიშვილმა და სხვა ორატორებმა იმსჯელეს მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე, აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო მტკიცედ გადაჭრან რესპუბლიკის უძველესი საწარმოს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული პრობლემები.

მიტინგზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ანჩაბაძე.

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დღეებში ვიმუშაოთ გაორკეცებული ენერგიით — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჩვენმა პატარა კოლექტივმა მანამდე, სანამ მოსკოვში უმაღლეს პარტიულ ფორუმზე გააცილებდა ჩვენს ამხანაგსა და ბრიგადირს ამირან მაისურაძეს. მტკიცედ შევპირდით მას, რომ საერთო ძალებით გამოვიმუშავებდით მის ნორმასაც.

ურთიერთშეცვლა უცილობელი წესი გახდა ბრიგადაში მას შემდეგ, რაც გადავედიდ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალ, ბრიგადულ ფორმაზე. მისი წყალობით ჩვენმა ბრიგადამ ხუთწლიანი დავალება ოთხ წელიწადნახევარში შეასრულა, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის ორი თვის გეგმა კი — ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის გახსნის დღისათვის.

ჩვენი კომბინატი დიდი და მნიშვნელოვანი ცვლილებების მოჯნაზეა. მომდინარე ხუთწლედში უნდა ვაწარმოოთ მადნის კომპლექსური გადამუშავება. ამ მოვლენისათვის ემზადება ყველა საწარმოო ქვედანაყოფი. შეძენილი გამოცდილება დაგვეხმარება წარმატებით გავართვათ თავი ამ ამოცანის გადაწყვეტას.

ხ. ასლანიკაშვილი,
მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის მეექსკავატორე.

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ კომუნისტთა დიდი ფორუმის გახსნის დღისათვის გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების 56-მა ბრიგადამ და 711 მუშამ უპატაკა სამშობლოს იანვარ-თებერვლის გეგმის შესრულება. გაერთიანების საწარმოო ქვედანაყოფების კოლექტივებმა გადაწყვიტეს გაორკეცებული ენერგიით იშრომონ ყრილობის მუშაობის დღეებში და წლის დამლევამდე შეინარჩუნონ მუშაობის სწრაფი ტემპი.

ამის შესახებ ითქვა გაერთიანების მშრომელთა მიტინგზე, რომელიც სკკპ XXVII ყრილობის გახსნასა და ყრილობაზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას მიეძღვნა.

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, — განაცხადა გაერთიანების №1 ფაბრიკის მუშამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზ. ნინიკაშვილმა, — აღნიშნულია, რომ უპირატესად განვითარდება მსუბუქი და მრეწველობის სხვა დარგები, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის მუშაობენ. მათთვის საჭირო პროგრესული მოწყობილობის წარმოებაში ჩაბმულია მრეწველობის არა მარტო სპეციალიზებული, არამედ სხვა დარგებიც. ასე რომ, ძალების მაქსიმალური დაძაბვა, მთელი სამშალებების მობილიზაცია მოგვიწევს დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის და შევძლებთ კიდეც ამას.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. გელაშვილი, №1 ფაბრიკის ქვეოსტატი ი. ბუთხუზი, №2 საქსოვი ფაბრიკის მუშა თ. ფედორენკო და სხვები. მათ აღუთქვეს პარტიასა და სამშობლოს, რომ ყველაფერს იღონებენ იმ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელებსაც სკკპ XXVII ყრილობა მიიღებს, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. („კომ". კორ.).

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲒᲠᲗᲮᲔᲚ კიდევ გადავავლოთ გონების თვალი ამ დღის — 1986 წლის 25 თებერვლს. ლამაზად მოურთავთ მოსკოვის ქუჩები და მოედნები, იგრძნობა შემართების, სულიერი აღფრთოვანების ატმოსფერო შრომითს კოლექტივებში.

ამ დღეს მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ. საბჭოთა ადამიანები ემზადებოდნენ მისთვის, ელოდნენ მას, და მოხსენების პირველმა სიტყვებმა: „სკკპ XXVII ყრილობა შეიკრიბა ქვეყნის, მთლიანად თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების მკვეთრი გარდატეხის მომენტში. ჩვენ მუშაობას ვიწყებთ პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დაკისრებული პასუხისმგებლობის ღრმა გაგების გრძნობით" — მაშინვე ხაზი გაუსვეს ყრილობის წარუვალ, ჭეშმარიტად ისტორიულ მნიშვნელობას.

უდიდესი ინტერესი გამოიწვია XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მოხსენებამ, რომელიც გააკეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. და არა მარტო საბჭოთა ადამიანების, არამედ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მცხოვრებების, მთელი პროგრესული კაცობრიობის ინტერესი. ისინიც კი, ვინც არასოდეს არ ყოფილა გამსჭვალული სიმპათიით ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისადმი, უურადღებით უსმენდნენ მოსკოვის ხმას, რადგან არ მოუსმინო ამ ხმას — დღეს არ შეიძლება.

ცხოველი ინტერესი ლენინური პარტიის ყრილობის მუშაობისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებისადმი გასაგებია — ყრილობის განსახილველად გამოტანილია ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების საპროგრამო ამოცანები.

„ჩვენი ამოცანაა, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — ფართოდ, ლენინურად გავიაზროთ ახლანდელი დრო, შეეიმუშაოთ რეალისტური, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი სამოკმედო პროგრამა, რომელშიც მიზნების სიდიადე და შესაძლებლობათა რეალიზმი, პარტიის გეგმები ორგანულად შეერწყმის ყოველი ადამიანის იმედებსა და მისწრაფებებს. XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი გასწაზღვრავენ, თუ რა ხასიათი და ტემპი ექნება ჩვენს წინსვლას წლების და ათწლეულების მანძილზე, წინსვლას საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების თვისებრივად ახლებური მდგომარეობისაკენ".

როცა ვკითხულობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების სტრიქონებს, მის მიღმა ვხედავთ პარტიის საპროგრამო მიზნებს, მის თანამედროვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრატეგიას, შინაპარტიული ცხოვრების, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს. მოხსენებაშიც, საკრებლო დოკუმენტებშიც მოცემულია არა მარტო განვლილის შეფასება, მომწიფებული ამოცანების დაყენება, არამედ მომავლის გაბედული, ნოვატორული ჭვრეტაც.

პარტია ეწევა დიდ, გულმდგომ სკა-ბაას ხალხთან ჩვენი ცხოვრების საკვანძო მიმართულებების შესახებ. დიახ, ჩვენ ვამაყობთ მიღწევებით, ვიცით, რომ განვლილი წლები იყო შრომისა და ბრძოლის წლები. ამავე დროს პარტია პირდაპირ ლაპარაკობს ხარვეზებზე, ნაკლოვანებებზე, უკეთურ ტენდენციებზე ეკონომიკაში, ასეთი მოვლენების მიზეზებზე, გაკვეთილებზე, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ.

ქვეყნის შიგნით და მსოფლიო ასპარეზზე პარტიის მიერ პრინციპული ახალი სიტუაციის, სამშობლოს ბედისათვის თავისი პასუხისმგებლობის ღრმა შეცნობის გამოხატულებად, მომწიფებული გარდაქმნების განსახორციელებლად მისი ნებისა და სიმტკიცის გამოვლენად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მიერ დასახული ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი. ამ კურსს ერთსულოვნად დაუჭერეს მხარი საბჭოთა ადამიანებმა. მთელი პარტიის, მთელი ხალხის სიბრძნით, გამოცდილებით გამდიდრებულნი შეიკრიბნენ პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ყრილობაზე. ახლა უკეთ ჩანს, რა და რანაირად უნდა გავაკეთოთ, რა ბერკეტები ავამოქმედოთ.

დაჩქარება — ეს უწინარეს ყოველისა ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებაა. დაჩქარების არსია ზრდის ახალი თვისება: წარმოების ყოველნაირი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის, მართვის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების სტრუქტურული გარდაქმნის საფუძველზე. დაჩქარების კურსი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანამიმდევრულ დამკვიდრებას. დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაჯანსაღებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინიციის, უძრაობისა და კონსერვატიზმის დაძლევას — ყოველივე იმას, რაც საზოგადოებრივ პროგრესს აფერხებს.

ყოველი საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ. მათი ცოცხალი შემოქმედება დღეს ჩვენი მუშაობის ყოველ რგოლშია საჭირო. იგი აუცილებელია, რათა განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. რათა უმოკლეს დროში გადავწყვიტოთ სურსათით ქვეყნის სრულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემა, რასაც ისახავს მიზნად პარტიის აგრარული პოლიტიკა. რათა ავამოქმედოთ რეზერვები და, უწინარეს ყოვლისა, ის რეზერვები, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ ხარჯებს, მაგრამ სწრაფ და საგრძნობ ეფექტს იძლევიან. მათ შორისაა საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენება, შრომის სტიმულირების ქმედითობის გადიდება, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება, უყაირათობის დაძლევა. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა უნდა გახდეს თითოეული იმ ადამიანის საქმე, რომელიც პატივს სცემს თავის შრომას, უფრთხილდება საწარმოს ღირსებას.

ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება მშრომელი ადამიანისათვის. სოციალურ სფეროში, აღნიშნულია მოხსენებაში, ინერგება ეკონომიკური საქმიანობის შედეგები, რომლებიც ეხება მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ხორციელდება სოციალიზმის უმაღლესი მიზნები. მრავალმხრივია პარტიის მიერ შემუშავებული სოციალური პოლიტიკა. ადამიანთა კონკრეტული საჭიროებებისათვის, ინტერესებისათვის ზრუნვა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, პროფკავშირების, თითოეული ხელმძღვანელის შეუნელებელი ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

ნოვატორული მიდგომა, შემოქმედებითი ძიება, დროის მოთხოვნებზე დაინტერესებული გამომძიებურება ჩვენი მუშაობის ყოველი მიმართულებით არის საჭირო. აქ მაგალითს კომუნისტები უნდა იძლევდნენ. 19 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს თავის რიგებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტიის ძალა ის გახლავთ, რომ იგი გრძნობს დროს, ცხოვრების მაჯისცემას, მუდამ მასების შუაგულშია. და ყოველთვის, როცა ქვეყნის წინაშე ახალი ამოცანები დგება, პარტია პოულობს მათი გადაწყვეტის გზებს, ცვლის, გარდაქმნის ხელმძღვანელობის მეთოდებს. პარტიული მუშაობის გარდაქმნის არსი ის არის, რომ კომუნისტები აქტიურად იბრძოდნენ აპრილის პლენუმის მიერ დასახული გეზის განხორციელებისათვის, ცხოვრობდნენ ძიების, თავიანთი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების განახლების ატმოსფეროში.

სწორედ ყველასთვის სასიკეთო პრაქტიკული საქმეებით ვლინდება კომუნისტის ავანგარდული როლი, ხალხისათვის მსახურებით — პარტიელის სპეტაკი და პატიოსანი სახე.

ჩვენი სადღეისო და სანვალეო გეგმების საფუძველშივე დევს მშვიდობიანი შრომის, ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის აღმშენებლობის იდეა. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები განსაზღვრავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო სტრატეგიასაც. მისი მთავარი მიზანი უაღრესად ცხადია — უზრუნველყოს საბჭოთა ხალხი შესაძლებლობით იშრომოს მტკიცე მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა მომდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული და მახობრივი მოსპობის სხვა იარაღის სრული ლიკვიდაციის მთლიანი პროგრამა. თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ეს პროგრამა ისტორიულია. პარტიული ყრილობის ტრიბუნიდან მისი მუშაობის პირველივე დღეს გაისმა ახალი წინადადება შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა, ჩამოყალიბდა ასეთი სისტემის პრინციპული საფუძვლები.

პარტიის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნები და მიმართულებანი, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის თანამშრომლობა, საბჭოთა კომუნისტების მიერ ინტერნაციონალური ვალის მოხდა, თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი ტენდენციები და წინააღმდეგობანი ყოველმხრივ და ღრმად წარმოჩნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მოხსენება გულგრილს არავის ტოვებს. იგი აღგვიძრავს ფიქრებს, აქტიური მოქმედებისათვის მოგვიწოდებს თითოეულს. დიახ, წინ დიდი მუშაობა გველის. დღეს ჩვენ გზის დასაწყისში ვართ. მაგრამ დარწმუნებული ვართ: ამ მუშაობის უნარი შეგვწევს. რა გვაძლევს ასეთი რწმენის საფუძველს? უწინარეს ყოვლისა ჩვენს გეგმებს საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება. ეს არის სოციალიზმის უდიდესი შესაძლებლობების, მასების ცოცხალი შემოქმედების რწმენა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას აქვს მუშათა კლასის, გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ქალების, ახალგაზრდების, ვეტერანების, ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალური ჯგუფის, ერისა და ეროვნების მხარდაჭერის იმედი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას აქვს ამ მხარდაჭერის იმედი, ვინაიდან პარტიის პოლიტიკა — ეს ის პოლიტიკაა, რომელიც გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის იმედს, ინტერესებსა და მისწრაფებებს.

პარტიამ დასახა სწორი კურსი. გულმოდგინე მუშაობა, პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ყველა მშრომელის შეკავშირებული მოქმედება მისი პრაქტიკული განხორციელების მთავარი პირობებია. ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, ყველა მშრომელი ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალს. რაც უნდა რთული იყოს გადასაწყვეტი ამოცანები, ჩვენ მათ გადავწყვეტთ. ასეთია პარტიის ნება, ხალხის ნება.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიმდინარეობის შესახებ

26 თებერვლის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები ა. ა. გრომეიკო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვ. ნ. პლეტნიოვა — კოსტრომის ვ. ი. ლენინის სახელობის სელის კომბინატის მჭსოველი, ბ. ბ. ვედენეევი — სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ბ. უსმანხოჯაევი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ბ. ანიკეინი — სკკპ ტიუმენის ოლქის სურგუტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. ვაინო — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები ერიხ ჰონეკერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გეორგისის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, გუსტავ ჰუსაკი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი.

• • •

1986 წლის 27 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ი. თ. სოლოვეიოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ვ. გელერტი — ყაზახეთის სსრ ცელინოგრადის ოლქის კურგალჟინის რაიონის ამანგელდის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი, ბ. ა. პუგო — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმა ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.

კამათში აგრეთვე გამოვიდა ამხანაგი მ. ზ. უაჟიროვი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

შემდეგ ყრილობას მიესალმა ამხანაგი ნიკოლაე ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ყრილობას მოიხმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა გ. პ. რაზუმოვსკიმ.

ყრილობის დელეგატები ერთხმად ამტკიცებენ სამანდატო კომისიის მოხსენებას.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ნ. მ. ერეშოვა — საწარმოო გაერთიანება „ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის პირმის მანქანათაშენებელი ქარხანის" გამმართველი, კ. მ. ბაბიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

**დილის სხდომის დასასრულს ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები შამბინ ბატმუნხი — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ეუგენ ედუარდუ დუნ სანტუში — მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, კეის

ნ ფოდვინხანი — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.**

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

26 თებერვლის

საღამოს სხდომა

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ სხდომაზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. ა. გრომეიკო.**

სკკპ XXVII ყრილობა, თქვა მან, ჩვენი დროის თვალსაჩინო მოვლენაა. ყრილობის დელეგატები, და მათთან ერთად მთლიანად პარტიელი, მომთხოვნელად აფასებენ ყოველივე იმას, რაც ათწლეულებში გაკეთდა, და საძირკველს უყრიან ჩვენს ახალ წარმატებებს.

კომუნისტებს შორის მუდამ დიდ პატივშია საქმიანი ენა, მკაცრი, სამართლიანი შეფასება იმისა, რაც გავაკეთეთ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო სამეგზურებიც. ჩვენი პარტია თავის საგარეო პოლიტიკაში მშვიდობას სთავაზობს ყველა ქვეყანასა და ხალხს, იბრძვის მისთვის ყოველდღე და ყოველ საათს. საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მოკავშირენი და მეგობრები, ყველა ხალხი ელიან, რომ გამოინახება შეიარაღების ტვირთისაგან კაცობრიობის ხსნის გზა. საბჭოეთი მთელ თავის ვეტორიტეტს, თავისი პოლიტიკის მთელ გავლენას დებს სასწორზე მშვიდობის სასარგებლოდ.

ჩვენი გეგმების გრანდიოზულობა, თქვა შემდეგ ორატორმა, მოითხოვს მთელი იმ რეზერვების გამოყენებას, რომლებსაც სოციალისტური წყობილება შეიცავს.

ჩვენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მოთხოვნილება მთელი ,სისრულით გამოვიყენოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

და როცა ვაფასებთ იმას, რაც ჯერ კიდევ უნდა გაკეთოს ჩვენმა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით, შეიძლება უფრო მკაფიოდ, ვიდრე ოდესმე წინათ, იკვეთება ყველა საფეხურის საბჭოების ამოცანები თავიდან ბოლომდე. საქმე ეხება ხალხის რჩეულთა დიდ არმიას — ორი მილიონ სამასი ათასზე მეტ კაცს, თუ არ ჩავთვლით მრავალმილიონიან აქტივს, რომელსაც იგი უშუალოდ ეყრდნობა.

სხვა ვინ, თუ არა მათ, უნდა იზრუნონ, უწინარეს ყოვლისა, მრავალრიცხოვანი „სამეურნეო პრობლემების გადაჭრისათვის, წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებაში.

მათი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციაა შეიმუშაონ, დაამტკიცონ და განახორციელონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმები თავიანთ ტერიტორიებზე.

რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, საბჭოებმა უნდა გამოიყენონ ადგილობრივი ძალები და რეზერვები — დაჩქარებული ტემპით განავითარონ ადგილობრივი მრეწველობა და სარემონტო ბაზა, ვაჭრობა და მომსახურების სფერო, მთლიანად და დროულად შეასრულონ საკუთარი გეგმები.

თუ ავიღებთ სოციალურ პრობლემებს, ,ეს ითვალისწინებს ადამიანების უზრუნველყოფას ბინით, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, — ამით უაღრესად დაინტერესებულია ყოველი ოჯახი, ყოველი საბჭოთა ადამიანი, — სასკოლო საქმეებს, სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციას, გარემოს შენარჩუნებისათვის, საგზაო მშენებლობისათვის ზრუნვას, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, კანონიერების უმკაცრეს დაცვას.

განსაკუთრებით მინდა შეეეხო ახალგაზრდობას, აღნიშნა ორატორმა, მის სპეციფიკურ მოთხოვნილებებს, რომლებისთვისაც ნიადაგ უნდა მუშაობდნენ საბჭოები. თავად ცხოვრების ლოგიკით მათ ხელში უნდა აიღონ სახელმწიფო საქმეთა მართვის საჭე. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მთლიანად ახალგაზრდობა პატიოსნად შრომობს და მისი გმირობის მაგალითები ცნობილია. იგი უნდა შეიცავდეს ენერგიის, განათლების, შინაგანი კულტურის, პროფესიული მოშმადების კიდევ უფრო ძლიერ მუხტს. ჩვენ ყველას გვინდა, რომ საბჭოთაის ახალგაზრდობა იყოს იდეურად ნაწრთობი, სამშობლოს ერთგული, კომუნიზმის იდეალების — უფროს თაობათა, მამა-პაპათა იდეალების ერთგული, რომლებიც სიძნელეებს შეუპოვრად სძლევდნენ და აგურ-აგურ ააგეს შენობა, ახლა ასე ამაყად რომ აღმართულა მსოფლიოში, — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

და საბჭოების საქმიანობამ — განსაკუთრებით კულტურის, განათლების, დასვენების დარგში — ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ჩვენს თანამედროვეს ახასიათებდეს ყველაზე მაღალი მორალური თვისებები.

ყრილობის ტრიბუნიდან გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ დროა ბოლო მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა ადგილობრივი საბჭოები სიტყვით ცნობენ თავიანთი მოვალეობის შესრულების აუცილებლობას, მაგრამ ხშირად სჯერდებიან გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებსაც არ მოსდევს საქმე ან ამ საქმის მასშტაბი უმნიშვნელოა.

ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში გულქვაობა უნდა შეიცვალოს გულისხმიერებითა და ზრუნვით. ეს ყოველი დეპუტატის, ყოველი აღმასკომის, ყოველი საბჭოს საქმიანობის კანონად უნდა იქცეს. არც ერთი მოქალაქე არ უნდა გაბრუნდეს ისე, რომ არ ნახოს დეპუტატი.

დასახულ ამოცანათა პრაქტიკულ გადაწყვეტაში რა თქმა უნდა, უნდა უზრუნველვყოთ საბჭოებისადმი პარტიელი ორგანიზაციების მხარდაჭერა, ვინაიდან ეს მთელი კომუნისტთა პარტიისა და მთელი ხალხის ამოცანაა.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-8 ᲒᲕ.).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი — თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის № 8 სამკერვალო საამქროს პარტიორგი მდივანი, მკერავი თინათინ ლომაშვილი თავისი ბრიგადის წევრებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას, რომელიც მან სკკპ XXVII ყრილობაზე გააკეთა.

ფ. კრიმსკის ფოტო.

მ. ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. ᲰᲣᲡᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს, რომელიც მეთაურობს სკკპ XXVII ყრილობაზე წარმოგზავნილ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დელეგაციას.

ამხანაგური საუბრის დროს გ. ჰუსაკმა დიდი შეფასება მისცა საბჭოთა კომუნისტების ფორუმს, მის საერთაშორისო მნიშვნელობას, აღნიშნა, რომ შემოქმედებითი ხასიათი აქვს ყრილობაზე საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხთა განხილვას. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებულია მოპოვებული გასულ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულებაში, რ

სკკპ XXVII ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ

გ. პ. რაზუმოვსკის მოხსენება

ამხანაგებო!

სკკპ XXVII ყრილობა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიის ახალ დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტს მოასწავებს. იგი მიმდინარეობს გარდატეხის ეტაპზე, უაღრესად პასუხსაგები გადაწყვეტილებების მიღების ჟამს, როცა პარტია კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პერსპექტივებს განსაზღვრავს.

ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა, დამაჯერებლად არის წარმოჩენილი იმ პერიოდის ხასიათი და თავისებურება, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. მოხსენებაში მეცნიერულად არის გაანალიზებული საბჭოთა საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობა, ლენინური გულახდილობით და სიღრმით არის დაყენებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მომწიფებული პრობლემები.

მოხსენებაში ზუსტად არის ჩამოყალიბებული პარტიის გენერალური გეზი, ყოველმხრივ არის დასაბუთებული თანამედროვე ეტაპზე კომუნიზმისათვის ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. იგი გამსჭვალულია ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისადმი ახალი, ნამდვილად შემოქმედებითი მიდგომით. მოხსენებაში წამოყენებულია პრინციპული დებულებანი, რომელსაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და რომლებითაც პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი იხელმძღვანელებენ.

შეგნებული აქვს რა თავისი პასუხისმგებლობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აწმყოსა და მომავლისათვის, პარტია მტკიცედ დაადგა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს. კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის კოლექტიური აზრით შემოწმებული ეს კურსი ყოველმხრივ დასაბუთდა და დამუშავდა სკკპ პროგრამის ახალი რედაქციისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებით. ეს დიდი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებია, ისინი წინასწარ მრავალი წლისათვის განსაზღვრავენ პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთელ მრავალფეროვან საქმიანობას სოციალიზმის სრულყოფისათვის.

პარტიის მიერ დასახული საპროგრამო ამოცანების განხორციელება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ყოველმხრივ აქტივიზაციას, კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერებას, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების დაუცხრომელ სრულყოფას. ამას საიმედოდ ემსახურება ჩვენი პარტიული წესდება, გამდიდრებული ახალი დებულებით, რომლებსაც მასში შევიტანთ ყრილობაზე.

საყრილობო დოკუმენტების საერთო-პარტიულმა, საყოველთაო განხილვამ დამაჯერებლად გვიჩვენა მათი დიდი შთამაგონებელი და მამობილიზებელი ძალა, თვალნათლივ ცხადყო, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ურთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ გეზს, საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ მათ ურყევად, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულონ ცხრაცა პარტიის წინასწარდასახულებებს.

XXVII ყრილობას წინ უძღოდა ანგარიშები და არჩევნები პარტიის ყველა რგოლში, მათ თვალნათლივ ასახეს პოზიტიური პროცესები, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში მიმდინარეობს სკკპ „ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების პოლიტიკურ მითითებათა ზემოქმედებით. ანგარიშები და არჩევნები გაიმართა კომუნისტების დიდი აქტიურობის ატმოსფეროში, ფართოდ გაშლილი პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში. მათ დიდად შეუწყვეს ხელი კომუნისტების, მშრომელთა დარაზმვას ისეთი ძირეული პრობლემების გადასაჭრელად, როგორიც არის წარმოების ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პარტიის სოციალური პოლიტიკის რეალიზაცია.

პარტიულ ორგანიზაციებში დიდი პასუხისმგებლობით, უდიდესი მომთხოვნელობით მოეკიდნენ არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობის ფორმირებას, ყრილობის დელეგატების არჩევას. კომუნისტებმა ყრილობაზე თავიანთ წარმომადგენლებად გამოგზავნეს ღირსეული ავტორიტეტიანი ადამიანები.

ამხანაგებო! სამანდატო კომისია ყრილობას მოახსენებს, რომ დელეგატების არჩევნები ყველა პარტიულ ორგანიზაციაში მოწყო სკკპ წესდების, ცენტრალური კომიტეტის მიერ გათვალისწინებული არჩევნების წესისა და წარმომადგენლობის ნორმების შესაბამისად: ერთი დელეგატი პარ-



ტიის 3670 წევრისაგან. სულ ყრილობაზე არჩეულია 5000 დელეგატი, მათგან 3827 დელეგატი, ანუ 76,5 პროცენტი არჩეულია პირველად.

სამანდატო კომისიამ შეამოწმა ყველა დელეგატის უფლებამოსილება და ნამდვილად ცნო იგი.

რუსეთის ფედერაციის მხარეებისა და ოლქების პარტიული ორგანიზაციებისაგან ყრილობაზე არჩეულია 2946 დელეგატი, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების დელეგაციებს თავიანთ შემადგენლობაში ჰყავთ: უკრაინას — 889 კაცი, ბელორუსიას — 189, უზბეკეთს — 177, ყაზახეთს — 224, საქართველოს — 105, აზერბაიჯანს — 103, ლიტვას — 55, მოლდავეთს — 51, ლატვიას — 52, ყირგიზეთს — 39, ტაჯიკეთს — 33, სომხეთს — 50, თურქმენეთს — 31, ესტონეთს — 31 კაცი.

ყველაზე დიდი დელეგაციებით წარმოდგენილი არიან შემდეგი პარტიული ორგანიზაციები: მოსკოვის — 321 კაცი, ლენინგრადის ოლქის — 178, მოსკოვის ოლქის — 156, დონეცკის ოლქის — 93, როსტოვის ოლქის — 90, კრასნოდარის მხარის — 89, სვერდლოვსკის ოლქის — 74, დნეპროპეტროვსკის ოლქის — 73, გორკის ოლქის — 71 კაცი.

ამხანაგებო! ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან კომუნისტები, რომლებიც წარმომადგენლობენ მეშჩთა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, საბჭოთა ხალხის ყველა ფენას, საზოგადოებრივი წარმოების, მეცნიერების, კულტურის, მართვის სხვადასხვა დარგს.

სოციალიზმის სრულყოფაში, კომუნისტური მშენებლობის მთელ პროცესში ავანგარდულ, სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს მუშათა კლასი. მისი პოლიტიკური გამოცდილება, დიდი შეგნება, ორგანიზებულობა და ნება მთელ ჩვენს საზოგადოებას ადუღებს. მუშებს წამყვანი ადგილი უკავიათ პარტიის სოციალურ შემადგენლობაში. ფართოდ არიან წარმოდგენილი ისინი ჩვენს პარტიულ ყრილობებზე. დელეგატად არჩეულია სულ 1705 მუშა, მათგან 1375 კაცი დასაქმებულია მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში.

მუშა დელეგატები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე შრომის უდიდესი ნაყოფიერების მიღწევისათვის ბრძოლის მეწინავენი არიან. თავიანთი თავდადებული შრომით, საქმისადმი ნოვატორული მიდგომით ისინი ახალ ისტორიულ პირობებში ავითარებენ და ამრავლებენ სტახანოვური მოძრაობის სასიქადულო ტრადიციებს, რომლის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეც არც ისე დიდი ხნის წინათ ფართოდ აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში.

ყრილობაზე არჩეულია სოფლის მეურნეობის 872 მუშაკი. ესენი გახლავთ კომუნისტები, რომლებიც პარტიის აგრარული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებისათვის სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან. მათ შორის არიან უხვი მოსავლისა და ნაწველის ცნობილი ოსტატები, წარჩინებული მექანიზატორები, მაძიებელი სელექციონერები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების თვალსაჩინო ორგანიზატორები. ისინი მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, უნარსა და გამოცდილებას ახმარენ იმას, რომ ინდუსტრიულ რელსებსა და სამეურნეო ანგარიშზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის, მეურნეობის გაძღოლის სამეცნიერო სისტემების, ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე დღენიადაგ ზრდიდნენ პროდუქციის გამოსავლიანობას და რაც შეიძლება უკეთ უზრუნველყოფდნენ ქვეყნის მოსახლეობას სურსათით.

მართვის, მთელი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციისა და მისი ეფექტიანობის ყოველმხრივ გაზრდისათვის დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ჩვენს სამეურნეო და საინჟინრო კადრებს. ისინი ღირსეულად არიან წარმოდგენილი ყრილობაზე. დელეგატებად არჩეულია საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, მშენებლობების, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და საინჟინრო-ტექნიკური სამსახურების 355 ხელმძღვანელი, 80 საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, 116 კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

თანამედროვე პირობებში იზრდება მეცნიერების როლი საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებასა და თვისებრივ გარდაქმნაში, პრინციპულად ახალ სახლობათა ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ყოველმხრივ ინტენსიფიკაციაში. ამას ისახავს დღეს მიზნად კომუნისტ მეცნიერთა შემოქმედებითი ძიება. ყრილობაზე წარმოგზავნილია მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების 114 მუშაკი; დელეგატთა შორის არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივი აკადემიებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების 123 ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ყრილობას ჩვენი მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები ესწრებიან.

სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელშიც შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულყოფილება, აქტიურად უწყობენ ხელს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, კულტურის, პრესის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები. ყრილობაზე მათ 156 კაცი წარმომადგენლობს. მათ შორის არიან ცნობილი მწერლები, თვალსაჩინო მხატვრები და მსახიობები, დამსახურებული მასწავლებლები და ექიმები.

ამხანაგებო! პარტიის გენერალური გეზის, პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება, პარტიული ხელმძღვანელობის დონე დიდად არის დამოკიდებული ჩვენს პარტიულ კადრებზე. პარტიის საქმის უანგარო სამსახურით, ხალხის საკეთილდღეოდ თავდადებული შრომით მათ კომუნისტების, ყველა მშრომელის დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს. ყრილობის დელეგატებად არჩეულია 1074 პარტიული მუშაკი, მათ შორის პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების 570 მდივანი. დელეგატების შემადგენლობაშია პირველადი, საამქრო პარტორგანიზაციების 698 მდივანი და პარტჯგუფორგი.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის წარმატებით ფუნქციონირების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სულ უფრო სრული განხორციელების უზრუნველყოფაში პასუხსაგები როლი ეკუთვნით სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტებს. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 682 საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკი; 3376 დელეგატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია.

ყრილობაზე არჩეული არიან კომუნისტები, რომლებიც დიპლომატიურ ფრონტზე იცავენ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, დაუცხრომლად იბრძვიან სოციალისტური თანამეგობრობის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის, მსოფლიო თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, საყოველთაო უშიშროებისა და განიარაღებისათვის.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. ესენი არიან მარშლები, გენერლები, ადმირალები და ოფიცრები, პრაპორშჩიკები და მიჩმანები. კომუნისტები რაზმავენ არმიისა და ფლოტის პირად შემადგენლობას, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მათი საბრძოლო პოტენციალი მხედრული ოსტატობის, იდეური სიმტკიცის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის მტკიცე შენაღწობი იყოს. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობას, მტკიცედ დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე.

წლოთიწლობით, ყრილობიდან ყრილობამდე იზრდება ქალთა რიცხვი პარტიაში, მატულობს მათი რიცხვი არჩევითს პარტიულ ორგანოებში, სულ უფრო მეტ ქალს აწინაურებენ კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნის ხელმძღვანელად, ნიადაგ იზრდება მათი რიცხვი პარტიული ყრილობების დელეგატთა შორისაც, XXVII ყრილობაზე არჩეულია 1352 ქალი, რაც ყველა დელეგატის 27 პროცენტს შეადგენს. ეს ყველაზე მეტია ამსოლუტური და პროცენტული გამოხატულებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე **(ტაში).**

დელეგატთა შემადგენლობა ასახავს ჩვენი პარტიის ინტერნაციონალურ არსს, რომელიც განსახიერებს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. ყრილობას ესწრებიან საბჭოეთის 72 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

ყრილობაზე არჩეულნი არიან სხვადასხვა თაობის კომუნისტები. 40 წლამდე ასაკის დელეგატები შეადგენენ 30,5 პროცენტს (მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე წინა ყრილობაზე), 41-დან 50 წლამდე — 34,7, 51-დან 60 წლამდე — 26,5, 60-ზე მეტი ხნისა — 8,3 პროცენტს.

პარტიული სტაჟის მიხედვით დელეგატები შემდეგნაირად ნაწილდებიან: რევოლუციამდელი პარტიული სტაჟით — 1 დელეგატი; პარტიაში 1917 წლის ნოემბრიდან 1940 წლის ჩათვლით შესულნი — 84 კაცი; დიდი სამამულო ომის წლებში — 199; ომისშემდგომ პერიოდში — 4716, მათ შორის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე — 948 კაცი.

დელეგატთა 98 პროცენტზე მეტს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება.

ყრილობის დელეგატები არიან ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვაში, თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების დროს, ავლენენ დიდ აქტიურობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის მათი 92 პროცენტი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 45 კაცს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 479 კაცს — სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატია 401 დელეგატი.

ამხანაგებო! სკკპ XXVII ყრილობის შემადგენლობა, მთელი მუშაობა მკაფიოდ მოწმობს, რომ ჩვენს პარტიას მძლავრი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული პოტენციალი აქვს. იგი აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული მასებთან, მოპოვებული აქვს მშრომელთა უსაზღვრო ნდობა და მხარდაჭერა. ჩვენი ლენინური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით ყრილობის იდეებითა და გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი ახალ თვალსაჩინოებას ფარტობებს ეპოქის ეპოქალურ ამოცანებს, ინტენსიურ ეკონომიკურ ზრდას, ეფექტიანობასა და ხარისხს, ეროვნულ-ინტერნაციონალურ ურთიერთობათა ლენინურ ნორმებს, სოციალისტური ცხოვრების ახალ ფორმებს, ადამიანის ინტელექტუალურ, ზნეობრივ, ფიზიკურ სრულ განვითარებას, ადამიანურ ურთიერთობათა ლენინურ ეთიკურ ნორმებს, ადამიანის ინტელექტუალურ, ზნეობრივ, ფიზიკურ სრულ განვითარებას, ადამიანურ ურთიერთობათა ლენინურ ეთიკურ ნორმებს, ადამიანის ინტელექტუალურ, ზნეობრივ, ფიზიკურ სრულ

ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი)

ამხანაგო დელეგატებო! ყრილობა, ლენინის თქმით, პარტიის ნების გამოხატულებაა. XXVII ყრილობა, რომელიც სკკპ პროგრამასა და წესდებას განიხილავს, საყოველთაო-სახალხო ნების „გამოვლინებაა: მას წინ უძღოდა ხალხთან პარტიის მოთათბირების ეტაპი, ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე დიდი და უშუალო ბჭობის ეტაპი. ამ ყრილობას დიდი ხანია მოელოდნენ. ამ ყრილობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. და ახლა ეს იმედები მართლდება.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება XXVII ყრილობისადმი — ეს არის უდიდესი აღმშენებელი ენერგიის მუხტი, თამამი, ნოვატორული, კონსტრუქციული მიდგომა თანამედროვეობის პრობლემებისადმი, ბოლშევიკური სულისკვეთება, გულახდილობა და პრინციპულობა, ინერტულობისა და კონსერვატიზმის დაძლევა — ნათელი მაჩვენებელი იმისა, თუ რას ნიშნავს დღეს რევოლუციურობა. როდესაც გულახდილად ლაპარაკობს სიძნელეებზე, სააკაროაზე გამოაქვს შეცდომები და ნაკლოვანებანი და ღრმად აანალიზებს მათ, პარტია გვახალისებს კიდევ უფრო გაბედულად, შეუპოვრად ვიმოქმედოთ. ეს გვისახავს რწმენას, სიმტკიცეს და ოპტიმიზმს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების შემდეგ ჩვენს ცხოვრებას თითქოს მაცოცხლებელი ნაკადი შემოემატაო. ჩვენმა პარტიამ ლენინური სიმწვანით და პრინციპულად გამოაცხადა განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი, მისი გარდამტეხი ხასიათი. კარგად გვესმის, რაოდენ დიდი ძალისხმევა, რა ტიტანური გარჯა გმართებს იმისათვის რომ დავამკვიდროთ გარდატეხა ცხოვრებაში, შრომასა და კადრების აზროვნებაში.

მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლას საქართველოს კომუნისტები შეუდგნენ ჯერ კიდევ 1972 წელს, როდესაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო თბილისის, საქალაქო კომიტეტის თაობაზე. ჩვენ ვხედავთ რაოდენ ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს დისციპლინის განმტკიცება, მომთხოვნელობის და პასუხისმგებლობის გაძლიერება და ის, რომ ამ წლების განმავლობაში რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალი ერთიორად და მეტად გაიზარდა, დაჩქარებული ტემპით მცირდება ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებთ. მოგახსენებთ: შესრულებულია მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი სამრეწველო წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით; პროდუქციის გამაშვება 30 პროცენტით და მეტად გაიზარდა. რესპუბლიკამ გაართვა თავი სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვას.

საჭირო გახდა პარტიული ხელმძღვანელობის ახალი ფორმები და მეთოდები. ეფექტიანი გამოდგა ძალისხმევის კონცენტრაცია საკვანძო პრობლემების დადასაჭრელად, ორმხრივი დონისძიებანი საკავშირო სამინისტროებთან ერთად, სხვა ექსპერიმენტები და სიახლენი, როშეკისაც მხარი დაუჭირა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. 1974 წელს დაწყებულმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის აბაშურმა გამოცდილებამ ჩვენ მიგვიყვანა სამი უწყების, გაბაერთიანებულ რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტამდე, და მთელი ეს სისტემა ჯარგად მოერგო ჩვენ ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის გაუმჯობესებულ სტრუქტურას.

ახალი ეკონომიკური ბერკეტები თვისებრივად ცვლიან შრომისადმი დამოკიდებულებას, კიდევ უფრო მეტად აკეთებენ მეურნეობრიობის პოლიტიკურ საზრისს. ახლა უკეთ გამოჩნდა ნაკლოვანებანი, გადასაჭრელი პრობლემები. მაგრამ მიღწეულს როდი ვსჯერდებით. კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, საფინანსო-ეკონომიკური მუშაობა, ფულის მიმოქცევის მდგომარეობა. მწვავედ დგას საბინაო და სხვა სოციალური პრობლემები, გვფიქრობს დაგეგმვის ხარვეზები, მეტადრე, არაკომპეტენტურობის, უთაურობის და უპასუხისმგებლობის ელემენტები. ბევრ დარგში დიდია დანაკარგები, დიდია თვითღირებულება, განსაკუთრებით — მიცხოველეობის პროდუქტებისა. ხშირად ვერ სრულდება სახელშეკრულებო ვალდებულებანი. შარშან მრეწველობამ თავი ვერ გაართვა რეალიზაციის გეგმას. კვლავინდებურად მდარეა მშენებლობის ხარისხი. სწორედ ამიტომ წესრიგის დამყარება, წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდა ხანგრძლივ ამოცანად გვესახება.

იყო ობიექტური — ნიშნავს არჩევდე ავსა და კარგს. ჩვენი წყობილების პირობებში ორგანიზაციული ღონისძიებანი წინ უნდა უსწრებდეს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროცესებს. მაგრამ ხშირად ასე არ ხდება ხოლმე. იწყება გარკვევას და რწმუნდები, რომ, თურმე, ყოველივე სუბიექტივიზმის, გულგრილობის, მოდუნების, ზოგჯერ კი აშკარა წინააღმდეგობისაგან მომდინარეობს. მაგალითად, ყველამ მოიწონა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის, შემოქმედებითი ინიციატივის გაფართოების დებულებანი, მაგრამ პრაქტიკული გადაჭრა ჭიანურდება, და კვლავ ვხედავთ, რომ ხშირად მიზანს ვერ აღწევს ისეთი ბერკეტების გამოყენება, როგორიც არის ფასი, კრედიტი, მოგება, ხელფასი და სხვა.

განუზომლად მოიკიდა ფეხი უწყებრიობამ, რომელსაც ხშირად მოსდევს ამბიციურობა, თვითნებური გადაწყვეტები. ეს მარტოოდენ ზნეობრივ ზიანს ი და ნ ი ს ი ნ ე ბ ს. ყოვნდება მიწის, მინერალური რესურსების, სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური გამოყენების პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ძალზე აქტუალურია რესპუბლიკისათვის. საერთოსახელმწიფო საკუთრებისათვის, რა თქმა უნდა, ყველანი ვაგებთ



პასუხს. მაგრამ აუცილებელია პერსონალური პასუხისმგებლობაც და, შესაძლოა,—მართვის გარდქმნაც. დავძლიოთ ბარიერები — უწყებრივი, ფინანსური, ფსიქოლოგიური ზღუდეები—ეს ნიშნავს მივანიჭოთ უსწრაფესი აჩქარება მეცნიერებას, ტექნიკას, წარმოებას, თვისებრივად შევცვალოთ ცხოვრების წესი.

საჭირო გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უპირველესი პარტიული საზრუნავი გამხდარიყო. რესპუბლიკაში გარკვეული სისტემა დამკვიდრდა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზები. ინერგება მეცნიერთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაბედული ფორმები, ფართოვდება საწარმოებთან პარტნიორობა, აკადემიისა და უმაღლესი სასწავლებლების პოტენციალის გამოყენება, შემუშავებულია წარმოების ვიწრო ადგილების დაძლევის საერთო-რესპუბლიკური პროგრამა. და მაინც, ბევრი საკითხის გადაწყვეტა ეწირება ბიუროკრატიზმს, უთავბოლობას, არ იგრძნობა ჯეროვანი დაინტერესება და ზუსტი დაგეგმვა.

უწყებრიობისა და კეთხუროობის დაძლევის უებარი საშუალებაა ტერიტორიული და დარგობრივი მართვის შეხამება. ადგილობრივი საბჭოების, შრომითი კოლექტივების ავტორიტ ტ ი ს ზრდამ, რესპუბლიკაში დარგთშორისი გაერთიანებების შექმნამ, სამეურნეო ანგარიშის საწყისების გაძლიერებამ გასაქანი მისცა ადგილობრივ ინიციატივას, რომლის საფუძველია. სახელმწიფოებრივი მიდგომა. მაგრამ არის მასშტაბური პრობლემებიც, რომლებიც ცენტრის მასშტაბურ გადაწყვეტებს მოითხოვს. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ენერგეტიკის განვითარებს, კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის აშენების, თბილისის შემდგომი განვითარების თაობაზე მიღებულ დადგენილებებს, რომლებიც ახალ ეტას ბოსაწყვეტენ საქართველოს პარტორგანიზაციის ცხოვრებასა და მუშაობაში.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურებასთან ერთად იზრდება ხელმძღვანელი კომუნისტის როლი და მნიშვნელობა. მისი პიროვნული თვისებები — დინამიზმი და მობილურობა, კომპეტენტურობა და კოლეგიურობა, თვითკრიტიკულობა, დემოკრატიზმი და უშუალობა, მასებთან კავშირი ყველაზე სრულად ვლინდება სოციალიზმის პირობებში და საუკეთო აღმზრდელობითს მაგალითად გვევლინება.

ყველა დონეზე და ყველა რგოლში პარტიელის უმზეკვლო და სპეტაკი სახე ყალიბდება მხოლოდ მომთხოვნელობისა და ფართო საჯაროობის, მკაცრი კონტროლისა და თვითკონტროლის ატმოსფეროში. ხშირად, სწორედ მომთხოვნელობის შესუსტების შედეგია, რომ თავს გადიან და ულიხად იქცევიან ხელმძღვანელის მეგობრები, ახლობლები, ნათესავები, ოჯახის წევრები, რომლებმაც ირწმუნეს, რომ ყველაფერი შეიძლებათ და პასუხი არ მოეკითხებათ. ეს კი მარტოოდენ ხელმძღვანელს როდი უტეხავს სახელს.

მთელი ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს პარტორგანიზაცია პრინციპულად ებრძოდა იმათ, ვინც ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას და თავისი საქციელით, მოქმედებით ჩირქს სცხებს კომუნისტის წოდებას. ეს რთული ბრძოლა იყო. ნუ დავმალავთ, და არცთუ ისე შორეულ წარსულში ფეხმოკიდებულმა წაყრუების ვითარებამ ააყვავა დიდკაცური მფარველობა და არა მარტო ზომიერი მეურვეობა, რომლებიც შორს იღებდა სათავეს და ასევე შორს მოისროდა ხოლმე ზოგ-ზოგებს — ნომენკლატურული სავარძლიდან განსასვლელის სკამზე. მკაცრ პარტიულ, მთელ რიგ შემთხვევებში კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ზოგიერთი მაღალი რანგის ხელმძღვანელი.

ზნეობაზე არ უნდა ვალაპარაკოთ უზნეო პიროვნებანი. მხოლოდ წესიერ ადამიანებს აქვთ უფლება დაამყარონ წესრიგი. წესი და წესიერება ერთი ძირის სიტყვებია. საქართველოს კომუნისტებმა მოწონებით აღიქვეს ის, რომ წესიერების მოთხოვნა საწესდებო ხდება.

ზარშან, როდესაც განახლების გაზაფხული დადგა, რესპუბლიკის კომუნისტებმა უფრო მტკიცედ იწყეს მოქმედება, გააძლიერეს მომთხოვნელობა პარტიული ცხოვრებისა და პარტიული ეთიკის ნორმების ყოველგვარი გადაგვეისათვის. და თუმცა, როგორც რესპუბლიკის პარტორგანიზაციამ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმს მოახსენა, ახლად დაწინაურებულთაგან, ახლად არჩეულთაგან ბევრნი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოღალატენი გამოდგნენ, და თავი ინინა უკვე ჩვენივე საკუთარმა შეცდომებმა, ამის შესახებ დაუფარავად და გულახდილად ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობთ, და რაოდენ მწარეც უნდა იყოს სიმართლე, არ ვმალავთ მას, ბოლომდე ვამბობთ სთქმელს.

რესპუბლიკის პარტორგანიზაცია თანამიმდევრულად მისდევს შემავიდრეობითობის პრინციპს და აქტიურად ავითარებს თვითგანწმენდისა და გამოჯანმრთელების პროცესს: ახლა კომუნისტები ანგარიშს აბარებენ პირველადს პარტორგანიზაციებს, პარტიელ ამხანაგებს, გადიან ერთგვარ პარტიულ ატესტაციას.

უაღრესად უკომპრომისოდ ვებრძვით კარიერისტებსა და მეძრეთამეებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ მიეტმასნონ, აეტკაპონ პარტიას. ვ. ი. ლენინი ქრთამს უწოდებდა ერთერთ უმთავრეს მტერს, რომელიც, მისივე თქმით, დგას ახლა ადამიანის წინაშე, მეტადრე, „თუ იქ ადამიანი კომუნისტია“, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იქ, სადაც ქრთამია, „ლაპარაკიც ზედმეტია პოლიტიკაზე“.

აბა, რა პოლიტიკა მოეკითხება პარტიული კომიტეტის მდივანს ან მნიშვნელ, ნებისმიერ ხელმძღვანელ მუშაკს, თუ ფულის წაგლეჯა-გამომძალვაზე უჭირავს თვალი, დაუკარგავს ღირსებისა და პარტიული სინდისის ელემენტარული გრძნობა? კომუნისტური მორალის „გადახრებთან ბრძოლა სულ უფრო მეტად უნდა ძლიერდებოდეს და მძაფრდებოდეს. და აქ, როგორც ყოველთვის, არ გვაკვსენებს მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

მიმდინარეობს პროცესი საყოველთაო გამოფხიზლებისა — ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ფხიზელი ცხოვრების წესი — ეს მარტოოდენ ადამიანის ჯანმრთელობა კი არა, საზოგადოებაში, ოჯახში ჯანსაღი ურთიერთობის თავდადაბავიც არის. ალკოჰოლიზმს უალკოჰოლო სასმელებით ვებრძვით, თანდათან ვაფართოებთ მათს ფარმოებას. გრადუსმაც თითქოს იკლო, ადამიანთა ურთიერთობა და სტუმართმოყვარეობა კი გაცილებით უფრო თბილი გახდა. ყოველ შემთხვევაში, ყველა ამას ამბობს, სტუმარიც და მასპინძელიც. **(ტაში).**

განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს იმათი პასუხისგებინება, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. სწორედ ამ მასაზრდოებელ გარემოში იბარეყა დანაშაულობამ და ისეთმა სოციალურად საშიშმა სენმა, როგორიც არის ნარკომანია. ჩვენ დავრწმუნდით, უშრომელი შემოსავალი, კერძოსაკუთრული ფსიქოლოგია საფრთხეს უქადის ახალგაზრდობას, აწყლულებს საზოგადოებას, მეტადრე, მაშინ, როდესაც შემტეგი სულისკვეთება ცხრება და თავს იჩენს პასიურობა,

ყრილობის დღიური

(გაგრძელება)

შინაგან განვითარების ყველა ჩვენი გეგმა, საბჭოთა სახელმწიფოს გეგმები და ჩვენი სტრატეგია საგარეო საქმეებში, — თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, — ადამიანის უფლების, პიროვნების თავისუფლების უღრმესი პატივისცემის, მაღალი ჰუმანიზმის მაჩვენებელია და ადამიანის სიცოცხლის ზმდათაწმიდა უფლების ყველაზე მგზნებარე დაცვა. არავის დაუდასტურებია ეს უფრო დამაჯერებლად, ვიდრე საბჭოთა ადამიანებს ომის მძიმე წლებშიც, მშვიდობის წლებშიც.

ტრიბუნაზეა კოსტრომის ვ. ი. ლენინის სახელობის სელის კომბინატის ფეიერი **ვ. ნ. პლეტნევა.** კოსტრომელმა კომუნისტებმა მეწუთედ აირჩიეს იგი პარტიული ყრილობის დელეგატად. და ყოველთვის, ხაზს უსვამს იგი, გრძნობ საერთო საქმესთან წილნაყარობას, განიცდი ყოველივე იმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას, რასაც პარტია სასავს. დიდ კმაყოფილებას იწვევს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი, დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისადმი მიდგომის სიახლე, ზრუნვა იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, უზრუნველყოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. მუშურად, უბრალოდ ვიტყვი: ეს სწორი, სახალხო პოლიტიკაა! მას ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ მთელი სულითა და გულით. კიდევ უფრო გულმოდგინედ განვამტკიცებთ ეკონომიკას, წესრიგს დავამყარებთ საკუთარ სახლში, საქმიანად ბრძოლებთ უომო და უიარაღო ცხოვრებისათვის. ჩვენი ხალხი სწორად ამბობს, შრომაში გამარჯვება მშვიდობას განამტკიცებსო. მშვიდობა და შრომა კი მუდამ ერთმანეთის გვერდითაა.

პოლიტიკურმა მოხსენებამ ტონი მისცა გულახდილ სჯა-ბაასს ჩვენი პრობლემებისა და ნაკლოვანებების შესახებ. დროულად მიმახნია ეს პირდაპირობა და გულახდილობა. ეს ლენინური მიდგომაა!

თავად ცხოვრება, თქვა შემდეგ ორატორმა, მკვეთრად გარდაგვაქმევინებს მთელ მუშაობას. ჩამორჩენილთა შორის რომ არ აღმოვჩნდეთ, მუხლჩაუხრელად უნდა ვაკეთოთ საქმე, ნაკლებად მოვიმიზეზოთ სიძნელეები, გამოვავლინოთ დისციპლინიანობა და პასუხისმგებლობა. როცა დაკვირდებით ეკითხულობთ ძირითად საპროგრამო დოკუმენტებს, რომლებიც ყრილობის წინ განვიხილეთ ყველამ ერთად და მთელი სულითა და გულით მივიღეთ, ვხედავთ, რა უდიდესი ამოცანები დგას ჩვენ წინაშე. მაგრამ აი რა გვაწუხებს: გარდაქმნის შესახებ თქმით კი ვთქვით, მაგრამ მთლიანად ჯერ ჯერობით ნელა ვტრიალებთ წარმოების ინტენსიფიკაციისაკენ. ვმუშაობთ ისევ ისე, როგორც მიჩვეული ვიყავით. არადა, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ საკუთარ თავში ყველამ — რიგითი მშრომელი იქნება ეს, თუ მინისტრი, და დავინახოთ: დიდი საქმის ნაწილი თითოეული ჩვენგანის სინდისზეა. იგივე ეხება წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას.

ხალხის სრული მოწონება დაიმსახურა პარტიისა და მთავრობის მიერ შეფუშავებულმა ღონისძიებებმა ამ მიმართულებით. მაგრამ, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია დაყოლაპია, ლოთი, სხვის ხარჯზე ცხოვრების ყველა ჯურის მოყვარული. ზოგი თავდაუზოგავად მუშაობს, ზოგი მათ ზურგს უკან იმალება, ანდა საერთოდ აცდენს სამუშაოს, მუქთახორობს. სახელმწიფოსაგან კი სხვების თანაბარი სიკეთის მიღებას ცდილობენ, ზნირად გამოუმუშავებელ ხელფასსაც იღებენ. უფრო გადაჭრით უნდა ვიმოქმედოთ, საყოველთაოსახალხო მოწონებას საყოველთაო-სახალხო მეცადინეობა უნდა მოჰყვეს. მაშინ წესრიგიც იქნება, გეგმებსაც შეავსრულებთ.

ორატორმა სიამაყით ილაპარაკა თავის საწარმოზე, სადაც ასობით ჩინებული მრთველი და ფეიერი შრომობს. და თუმცა ადამიანების უმრავლესობა სინდისიერად მუშაობს, კომბინატი გეგმას ვერ ასრულებს. ამის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის, რომ წარმოებისადმი ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონეზე ინერციით გრძელდებოდა ძველებურად აზროვნება. დამნაშავენი არიან მგეგმავი ორგანოებიც, რომლებიც საწარმოს შეუწონასწორებელ გეგმებს აძლევენ, არ გამოუყოფენ საჭირო მოწყობილობას. საჭირბოროტო პრობლემაა საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ნელი ტემპი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეცნიერებაც, მანქანათმშენებლობაც დიდ ვალში არიან სელის დარგის წინაშე, რომელსაც თითქმის არ შეხებია ტექნიკური პროგრესი. დღემდე პრაქტიკულად არ არის საოჯახო დანიშნულების სელის ქსოვილების დამამზადებელი მაღალწარმოებლური საფეიქრო დაზგა. სართავი წარმოებისათვის გათვალისწინებულ ახალ მანქანებზე განაცხადები მხოლოდ ნახევრად კმაყოფილდება. მიღებული მოწყობილობაც ბევრად არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. ყოველივე ამაზე დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხიც, რომლის ძირეული გაუმჯობესების ამოცანას პარტია მთელი ჩვენი მუშაობის ცენტრში აყენებს.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის აქტიური მონაწილე თავად არის უკვე რამდენიმე ხუთწლედია.

ახალ, შემოქმედებითმ მიდგომას მოითხოვს საარსებოდ დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრა, რომლებიც ყრილობაზე განხილება. მაშ, მოდით, თითოეული ჩვენს სამუშაო ადგილზე ვიძლეოდეთ შრომისმოყვარეობის, მიზნის მიღწევაში შეუპოვრობის და თამდადობის მაგალითს, მოუწოდა დამსწრეთ ორატორმა. დაე, პარტიული სინდისი ყველა ჩვენი საქმისა და მიღწევის ხარისხის გარანტია იყოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ და საყრილობო დოკუმენტების განხილვამ უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ შეგნებასა და უწინარეს ყოვლისა კომუნისტთა პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობაზე, თქვა სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. გ. ვედერნიკოვმა.** საკუთარი გამოცდილებით ადამიანები დარწმუნდნენ, აღნიშნა მან, რომ დაჩქარება შესაძლებელია, შესაძლებელია გარდატეხაც აზროვნებაში, პრაქტიკულ საქმეებში.

ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს განემტკიცებინათ დისციპლინა, გაეძლიერებინათ პასუხისმგებლობა, უზრუნველეყოთ ინიციატივის ზრდა. ამან შესაძლებლობა მოგვცა უფრო სრულად გამოგვეყენებინა მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის მორალური და მატერიალური სტიმულები. ოლქში ახლა უფრო მკაცრად აფასებენ მიღწეულს, პირდაპირ ლაპარაკობენ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი კადრების მუშაობაში. იძულებული ვიყავით გამოვთხოვებოდთ ზოგიერთ ხელმძღვანელს.

მნიშვნელოვანწელად შეიცვალა პარტიული კომიტეტების კოლექტიური ორგანოების, პლენუმებისა და ბიუროების მუშაობის, კომუნისტთა კრებების თვით ხასიათიც. აქ იმატა თვითკრიტიკულმა ანალიზმა, საგნობრივმა, ზუსტი მისამართით გამოთქმულმა კრიტიკამ. სულ უფრო ნაკლება სხვისი მოიმედოობა, ობიექტური მიზეზების მოშველიების ცდები. კომუნისტთა ასეთი განწყობილება ქმნის საქმიან ატმოსფეროს შრომითს კოლექტივებში.

ამავე დროს პირდაპირ უნდა ითქვას, განაცხადა ორატორმა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლაში მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ. ოლქის მეტალურგები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ შეკვეთებს. ბევრი საწარმო თავს ვერ ართმევს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს.

ჩვენ ვხედავთ, რომ გარდაქმნის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული პირველად პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონეზე, ვისწრაფვით დავეყრდნოთ მათს შემოქმედებითს ინიციატივას და ენერგიას, რათა ინტენსიფიკაციის პირველ ეტაპზევე მივიღოთ დიდი უკუგება ორგანიზებულობის, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების, საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენების გზით.

ორატორმა მხარი დაუჭირა პოლიტიკური მოხსენების დასკვნებს, რომ დაჩქარების მთავარი ბერკეტია სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქცია ახალ ტექნიკურ საფუძველზე. მაგრამ ტექნიკური განახლებისათვის მუშაობის დაწყება, თქვა მან, უკვე წაწყდა იმას, რომ ცალკეულ სამინისტროებს არ სურთ გარდაიქმნან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა სულისკვეთებით. ისევე, როგორც წინათ, ზოგიერთი მანქანათმშენებლო მინისტრი არ იღებს ახალი დიდმწარმოებლური კომპლექსური მოწყობილობის შექმნის განაცხადებს. მაგალითად დასახელეს ელექტროტექნიკური მრეწველობის, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროები, აღინიშნა, რომ ხშირად ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ეგრეთწოდებული ახალი მოწყობილობა წინანდელზე ძვირია, ხოლო მისი მწარმოებლობა ან ოდნავ მეტია, ან პრაქტიკულად წინანდელ დონეზე რჩება.

ვფიქრობ, განაცხადა ორატორმა, რომ მანქანათსაშენებელი კომპლექსი უნდა ჩავაყენოთ მკაცრ პირობებში, რათა ახალი მოწყობილობის მწარმოებლობის ზრდის ტემპი 1,5-2-ჯერ უსწრებდეს მისი ღირებულების ზრდას. უნდა გავაძლიეროთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა დასახული გეგმების შესრულებისათვის, განვაზორციელოთ მტკიცე ღონისძიებანი მართვის და, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალური ორგანოების აპარატის შემცირებისათვის, მაღალკვალიფიციური კომპეტენტური კადრებით მისი განმტკიცებისათვის. უფრო ენერგიულად უნდა განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის ისეთი დიდი კომპლექსების შექმნის გეზი, როგორიც არის სსრ კავშირის სახგრომრეწვი.

პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ერთსულოვნად უჭერენ მხარს პოზიტიურ ცვლილებებს, რომლებიც პარტიაში ხდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, თქვა ორატორმა. მან წამოაყენა ნაზადაგება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის მდივანები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაკები გამოდიოდნენ ანგარიშებით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში, მოახსენებდნენ კომუნისტებს საერთოპარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში პირად წვლილს, ეს შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების სულისკვეთებას.

პარტია ბოლშევიკური მომთხოვნელობით აფასებს მიღწეულს, შემოქმედებითად ეძებს თავისი მუშაობის გარდაქმნის გზებს, გადაჭრით უარყოფს ყოველივე დრომოჭმულს, მაგნეს, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, თქვა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ბ. უსმანხოჯაევმა.** ეს საკითხები განსაკუთრებით მწვავეა უზბეკეთის კომპარტიისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში სამართლიანად გამოითქვა მკაცრი კრიტიკა ჩვენი მისამართით, პარტიულად მკაცრი და პრინციპული შეფასება მიეცა რესპუბლიკაში არსებულ საქმის ვითარებას. მთლიანად და სავსებით ვეთანხმებით ამ კრიტიკას და ვიზიარებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შეშფოთებას რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური სიჯანსაღის გამო.

უზბეკეთის კომპარტიის ახლახან გამართულ ყრილობაზე ღრმად გავაანალიზეთ ახლო წარსულში დაშვებული პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების უხეში დარღვევები, გამოვავლინეთ საკადრო პოლიტიკაში, ეკონომიკის, კულტურული და სოციალური სფეროსადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში არსებული დაშახინჯების მიზეზები. დავსახეთ სერიოზული ღონისძიებანი, რათა ამგვარი მოვლენები მომავალში არ განმეორდეს.

დაშვებული შეცდომების შედეგად უზბეკეთი დიდ ვალში აღმოჩნდა სახელმწიფოს წინაშე. რესპუბლიკაში სსრ კავშირის ყველა ხალხის, და უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის დამარებით შექმნილი უზარმაზარი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ჯერჯერობით არ იძლევა სათანადო უკუგებას. საჭირო შედეგებს რომ მივაღწიოთ, როგორც იტყვიან, უნდა დავიკაბიწოთ სახელოები, გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ მეცადინეობა. ასეთი საერთო განწყობილება რესპუბლიკაში, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ, არის, და იგი უკვე ახდენს გავლენას ზოგიერთ ჩვენს საქმეზე.

უპირველესი ჩვენი საზრუნავია ბამბა, რომელიც იყო, არის და იქნება უზბეკეთის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი, ჩვენი მთავარი წვლილი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, განაცხადა ორატორმა. აქ ბევრი რამის შეცვლა გვიხდება. ხამი ბამბის დამზადების ძირეული გარდაქმნის შედეგად გავზარდეთ ბოჭკოს გამოსავლიანობა, მტკიცდება მეურნეობების ეკონომიკა. შარშან რესპუბლიკამ მომხმარებელს მიაწოდა 100 ათასი ტონით მეტი ბოჭკო, ვიდრე წინა წლებში, როცა ჩვენში 6 მილიონ ტონაზე მეტი ბოჭკო მზადდებოდა.

ყველგან ვამყარებთ რა წესრიგს, თქვა შემდეგ ორატორმა, დავრწმუნდით, რომ ყოველგვარი იდეოლოგიური შემწყნარებლობა და სოციალური ცხოვრების ნაკლები დინამიზმი არის ბზარი, რომელსაც შავბნელი ძალები ავსებენ. ისინი ავრცელებენ რელიგიურ დოგმებს, ძველ ცრურწმენებსა და შავნე ჩვეულებებს. ჩვენი კლასობრივი მტრები გვაჩვენებენ ეგრეთ წოდებულ „ისლამურ ფაქტორს“, თავს გვატეხენ სიცრუისა და ცილისწამების ნიაღვარს. ასეთ პირობებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დაჭარით აძლიერებს თავისი იდეოლოგიური არსენალის ქმედითობასა და შეტევითობას, ეყრდნობა მდიდარ გამოცდილებას, რომელიც შეიძინეს ჩვენმა პარტიამ, ქვეყნის, მათ შორის შუა აზიის ყველა ხალხმა.

ძირითად ამოცანად მიგვაჩნია ის, რომ თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ პირველად პარტიული ორგანიზაციების როლი. ცხოვრებამ თვალნათლივ ცხადყო, რომ მთელი ბოროტება, ყოველი შეცდომა გროვდება ძირეული პარტიული ორგულების პასიურობის გამო.

რესპუბლიკაში დაკნინებული იყო პირველადი პარტორგანიზაციების როლი. ისინი მათ თვალწინ მომხდარი დარღვევების გარეშე მეთვალყურენი იყვნენ და ბრძოლაში არ ებმებოდნენ. დღეს იძულებული ვართ ვზოლთ ყველაფრისათვის. პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია ბევრი ყოფილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკი, სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელი, რომლებმაც სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს.

და აქ მთელი ძალით ვიგრძეთ ნამდვილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დახმარება. უზბეკეთში მუდმივ სამუშაოზე იგზავნებიან მოწიფული პარტიული, საბჭოთა კადრები ცენტრალური აპარატიდან, რუსეთის სფსრ და სხვა რესპუბლიკების დიდი პარტორგანიზაციებიდან. ამავე დროს პერსპექტიულ მუშაკებს უმზადებენ უზბეკეთის სს რესპუბლიკას მოსკოვსა და ლენინგრადის, სვერდლოვსკის, სარატოვისა და ნოვოსიბირსკის უმაღლესი პარტიული სკოლები. ეს საშუალებას გვაძლევს ხელახლა ჩამოვაყალიბოთ კადრების რეზერვის ბირთვი, მოვახდინოთ სხვა პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების აკუმულაცია. ახლა უფრო მომთხოვნელად ვეკიდებით ჩვენს ადგილობრივ კადრებსაც. მათი წრიდან დავაწინაურეთ ნიჭიერი პერსპექტიული ხელმძღვანელები, რომლებსაც შეუძლიათ წიგნიერად გადაწყვეტონ ახალი რთული ამოცანები.

ყრილობის მუშაობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, თქვა პარტიის ტიუმენის ოლქის სუოგუტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. გ. ანკოვმა,** გვიხატავენ პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის აღმშენებლობითი საქმიანობის ფართო პანორამას.

ციმბირის მხარეში პარტიის ნებით, მთელი საბჭოთა ხალხის მეცადინეობით ჩრდილოეთის მკაცრ პირობებში ისტორიულად მოკლე დროში შეიქმნა მძლავრი ინდუსტრია, რომელიც ახლა ყოველ დღე-ღამეში მილიონ ტონაზე მეტ ნავთობსა და კონდენსატს, მილიარდ კუბურ მეტრზე მეტ გაზს იძლევა. წინათ ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარე ახლა მთავარი ენერგეტიკული ბაზაა, რომელიც ქვეყნის მთელი სათობის ნახევარს აწარმოებს.

ამ გარდაქმნების თავისი წვლილი შეაქვთ ძველი და ამავე დროს ახალი სუოგუტის — დიდი ნავთობგაზიანი რაიონის ცენტრის პარტორგანიზაციებს.

ორატორმა აღნიშნა, რომ ქალაქ სუოგუტში მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის სტუმრობის დროს მათ მიიღეს მუშაობის ანალიზში პრინციპული პარტიული მომთხოვნელობისა და გერგილიანობის, ადამიანებისადმი, მათი საქმეებისა და საზრუნავისადმი ყურადღების თვალსაჩინო მაგალითი.

როგორც ცნობილია, ოლქის ნავთობის მრეწველობაში ბოლო წლების მანძილზე საქმის ვითარება სასიხარულო არ იყო, გეგმები ვერ სრულდებოდა. გასულ ხუთწლედში ქალაქის მშრომელებმა ნავთობის მოპოვება წელიწადში თითქმის 60 მილიონ ტონამდე გაზარდეს და გეგმები შეასრულეს. მაგრამ ეს არ იწვევს კმაყოფილებას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მთელი რიგი მეზობელი ნავთობმომპოვებელი რაიონები კვლავ ჩამორჩებიან, და მეორე იმიტომ, რომ შესაძლებლობანი მთლიანად არ გამოიყენება.

ქალაქში შექმნილია გეოლოგმზვერავთა, მბურღავთა, მშენებელთა, ენერგეტიკოსთა, მეტრანსპორტეთა ძლავრი ბაზები. აქ ჩამოყალიბდა ძლიერი სტაბილური კოლექტივები, ნავთობის მოპოვება კი ბოლო ხანს მცირდება. ჩამორჩა ახალ საბადოთა დაზვერვა და ათვისება, სარეწების განვითარება, მათი ტექნიკური აღჭურვა.

ახლა, თქვა ორატორმა, პარტიის საქალაქო კომიტეტი მთავარ ყურადღებას აპყრობს მუშაობის გაუჯობესებას ძირეულ საწარმოო კოლექტივებში. გაძლიერდა ყურადღება ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისადმი. ეს გავლენას ახდენს როგორც ჩვენს, ისე მთლიანად ოლქის შედეგებზე.

სავსებით საფუძვლიანად არის ნათქვამი მოხსენებაში დიდ რეზერვებზე, რომლებიც სწრაფად შეიძლება ავამოქმედოთო, ოღონდ საქმის ორგანიზაცია უნდა გავაუმჯობესოთ. ეს კარგად ჩანს ჩვენი მაგალითით. სურგუტელმა მრეწავებმა თავდაპირველად იკისრეს ვალდებულება, 1986 წელს გეგმის გადამეტებით მოეპოვებინათ 90 ათასი ტონა ნავთობი, მაგრამ, როცა გაიზარდა მუშაობის ორგანიზებულობა ყველა რგოლში, ფართოდ გაიშალა საყრილობო შეჯიბრება, ახალი შესაძლებლობანი გამოვლინდა. ახლა გადაწყვეტილი გვაქვს ზეგეგმითი მოპოვება გავზარდოთ 300 ათას ტონამდე. ვფიქრობ, რომ ნავთობის მრეწველობის სამინისტროსთან ერთად გამოვნახავთ აგრეთვე მთლიანად ხუთწლედში ნავთობის მოპოვების გადიდების რეზერვებს.

არის კიდევ ძალზე მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემა. ჩვენი რაიონი, რომელსაც სათბობის უზარმაზარი მარაგი აქვს, დღემდე ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს ურალიდან იღებს. ასეთი მდგომარეობა შეგვიძლია შევცვალოთ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ენერგოუზრუნველყოფაში დეფიციტის უსწრაფესი დაძლევისათვის მიზანშეწონილია გაიზარდოს მშენებარე სურგუტის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე. ენერგეტიკის სამინისტრომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა განიხილონ ეს საკითხი, რათა არ დაკარგონ დრო და პრობლემა უკვე მომდინარე ხუთწლედში გადაჭრან.

შემდეგ ორატორი შეეხო საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ ყველა სამინისტრო და უწყება ჯეროვანი დაინტერესებით როდი ეკიდება ამ პრობლემის გადაჭრას. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მწვავე საჭიროებას განიდიან მთელი რიგი ორგანიზაციების კოლექტივები. მრავალი წელია ვერ ხერხდება ახალგაზრდობის სასახლის, პიონერთა სახლის, დრამატული თეატრის მშენებლობის დაწყება. ხორციელდება შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გადამწყვეტი ღონისძიებანი.

ჩვენს შრომითს კოლექტივებში შექმნილი განწყობილება, ყრილობისწინა კრებებზე გამოსვლები, მშრომელთა წერილები გვიჩვენებს, თუ რაოდენ ღრმად არიან ადამიანები დაინტერესებული ახლო დამკვიდრებით, თქვა ეს-ტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ. გ. ვაინომ,** როცა შეეხო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის იდეების სასიკეთო გავლენას. ახლა ადამიანები უფრო მწვავედ გამოდიან, თამამად სვამენ კითხვებს. გაჩნდა ნაკლოვანებებისადმი გამახვილებული დამოკიდებულება.

მაგრამ, აღნიშნა ორატორმა, გარდაქმნა ჯერ ისე სწრაფად არ ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს. მრავალი ხელმძღვანელი გადაეჩვია თავისი მუშაობის კრიტიკულ შეფასებას, შეურიგდა ნაკლოვანებებს და ისინი რაღაც გარდუვალად მიაჩნია. ახლა ამოცანების გადაწყვეტას ხშირად ცდილობენ მარტივად, ძველი მეთოდებით. და მაინც დღეს ბევრად სხვაგვარად ვეკიდებით საკუთარი მუშაობის შედეგებს. მაგალითად: თუმცა რესპუბლიკის მეცხოველეობაში მაჩვენებლები — ხორცისა და რძის წარმოებაც 100 ჰექტარ სავარგულზე, საკვებისა და შრომის დანახარჯებიც ერთეულ პროდუქციაზე, პირუტყვის წველადობაც, ჩასაბარებელი წონაც — ერთერთი საუკეთესო მაჩვენებლებია ქვეყანაში, მაინც ვერ დავჯერდებით. შედეგები უფრო დიდი შეიძლება ყოფილიყო. ამ საშუალო მაჩვენებლებს მიღმა ხომ იმალება მეურნეობრიობის დონეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცისა და რძის წარმოება უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პრაქტიკულად არ გაზრდილა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენი კოლონა ძლიერ გაიწელა: ავანგარდი გულდაჯერებით მიაბიჯებს მეთორმეტე ხუთწლედში, კუდი კი ჯერ კიდევ მეთერთმეტე ხუთწლედში მოჩანჩარეს.

იმისათვის, რომ წინ ვიაროთ, უფრო გულმოდგინედ უნდა ვეძიოთ ახალი გზები, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. და აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერიმენტების მოწყობის იმ შესაძლებლობას, რომელიც ახლა შექმნილია ქვეყანაში. გარკვეულ კმაყოფილებას განვიცდით იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის მართვაში ჩვენი ექსპერიმენტის მეოხებით, რომელსაც თავის დროზე მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, წილნაყარი ვართ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სისტემისა და ქვეყნის სახაგრომრეწვის ჩამოყალიბებასთან. ასეთ პირობებში ჩვენი მუშაობის სამმა წელმა ცხადყო ახალი სტრუქტურის ეფექტიანობა. მაგრამ ჩვენ აგრეთვე დავრწმუნდით, რომ ამას არამც და არამც არ უნდა დავჯერდეთ. აგროსამრეწველო კომპლექსში საჭიროა უფრო ქმედითი ეკონომიკური ბერკეტებიც.

კ. გ. ვაინო დაწვრილებით შეეხო იდეოლოგიური ბრძოლის აქტუალურ საკითხებს.

ესტონეთი იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული ფსიქოლოგიური ომის ფრონტისპირა ზოლია, თქვა მან. რამდენ ღვარძლიან სიცრუეს ავრცელებენ საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წინააღმდეგ სხვადასხვა არხით, გაჰყვიროან ესტონეთის კულტურის დაკნინების, თავისთავადობის დაკარგვის შესახებ, ათასსანაირად აზვიადებენ რუსიფიკაციის ყბადაღებულ თეზისს. ასეთ ვითარებაში მთელი ჩვენი იდეოლოგიური, კონტრპროპაგანდისტული მუშაობის მთავარ მიზნად მიგვაჩნია პოლიტიკური სიფხიზლის ჩანერგვა, მოსახლეობის კლასობრივი განმოწრთობა, სოციალიზმის ღირებულებათა დაცვა.

სურათზე: სხდომათა შორის შესვენების დროს. დელეგატები — „კემეროვოქიმმშენის“ ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი დ. მ. პლოტნიკოვი და გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. კ. აიბა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ეკონომიკურ ორგანიზაციებსა, რომლებმაც ყრილობაზე თავიანთ დელეგატებად წარმოგვგზავნეს, ყველა ჩვენგანმა მიიღო მანდატი — მხარი დავუჭიროთ, დავამკვიდროთ და განვავითაროთ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გეზი. დარწმუნებული ვარ, მხარს დამიჭერთ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ყრილობა მომდინარეობს სწორედ ასეთი სულისკვეთებით, ცხადყოფს პარტიის სიმწიფეს, მისი რიგების სიმტკიცეს. როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრმა, მინდა მოვახსენო ყრილობის დელეგატებს, რომ აპრილის პლენუმის იდეები განმსაზღვრელი გახდა ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს და სამდივნოს საქმიანობაში. მ. ს. გორბაჩოვის ხელმძღვანელობით.

როგორც ცნობილია, ახლო წარსულში ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ საქმე ამა თუ იმ საკითხის განხილვით შემოიფარგლებოდა. პოლიტბიუროომ დაარღვია ბაგიანურებისა და ზოზინის პრაქტიკა. წესად გავიხადეთ თავი არ ავარიდოთ კონკრეტულ ღონისძიებებს, არ გავაჭიანუროთ მომწიფებული პრობლემების გადაჭრა.

პოლიტბიუროს გაბედულმა, მტკიცე მოქმედებამ საშინაო პოლიტიკის დარგში გზა გაუკაფა ეკონომიკისა და მეცნიერების, საშეურნეო მექანიზმის მართვის სრულყოფას, საზოგადოებრივი მორალის განმტკიცებას. ნოვატორულად მიუდგა პოლიტბიუროო საერთაშორისო პრობლემებსაც. მთელი მსოფლიო ჯეროვნად აფასებს საბჭოთა კავშირის შორს გამიზნულ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებიც გამსჭვალულია ზრუნვით ყველა ქვეყნისა და ხალხის უშიშროებისათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სამდივნო მოქმედებენ კოლეგიალურად, დიდი მომთხოვნელობისა და აზრთა გულახდილი გაზიარების ვითარებაში. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები მუდამ მიდიან ადგილებზე, პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში. პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ცოცხალი ურთიერთობა მშრომელთა მასებთან ფორმისადმი ხარკი როდია. ეს არის თვით მუშაობის ლენინური სტილის არსი.

(დასასრული მე-4 გვ.).

ყრილობის დარბაზიდან

გ. ჰუსაკმა პარტიული ფორუმის დელეგატებს მოაგონა, რომ ჩეხოსლოვაკიაში ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVII ყრილობის სამზადისი მთავრდება. ჩვენც მოგველოდა სოციალისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა, თქვა მან. და ამ დღეებში ესწავლობთ XXVII ყრილობის მუშაობის გამოცდილებას, ვიღებთ ახალ იმპულსებს ჩვენი შემდგომი საქმიანობისათვის. მაგრამ ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავის უმაღლეს ფორუმს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია შეხვდება დარაზმული და შედუღაბებული, მჭიდრო ერთიანობით ხალხთან. მოხარული ვართ საბჭოთა მეგობრებს ვაცნობოთ ისიც, რომ ყრილობის სამზადისი ჩვენში პარტიისა და ხალხის მზარდი აქტიურობის, მომთხოვნელობისა და საქმისადმი კრიტიკული მიდგომის ატმოსფეროში მიმდინარეობს.

ჩვენი ხალხის უდიდეს რევოლუციურ მონაპოვრად, ხაზი გაუსვა ორატორმა, იმ ბრძოლის მწვერვალად, რომელსაც თავისი დაარსების 65 წლის განმავლობაში ეწევა ჩვენი კომპარტია, მიგვაჩნია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და მოკავშირეობა. ჩვენ კვლავაც სათუთად მოვუფრთხილდებით ამ კავშირს და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების, ჩვენი პარტიების მეგობრობა.

მისალმებით გამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტ

ყრილობის დღიური

(დასასრული)

მხოლოდ იმ პირობით, თუ კარგად იცობ ხალხის ცხოვრებას, ადამიანების საარსებო ინტერესებს, შეიძლება გქონდეს წარმატების იმედი პარტიული კურსის როგორც შემუშავებაში, ისე განხორციელებაში.

ყრილობისწინა პერიოდში გაძლიერდა ახალი ძალების დაწინაურების, პარტიის ნაცადი საკადრო კორპუსის იმ ახალი ადამიანებით შევსების პროცესი, რომლებსაც სხვებზე უკეთ ესმით, რა და როგორ უნდა გაკეთდეს თანამედროვე პირობებში. ეს ბუნებრივი, კანონზომიერი პროცესი ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტები, მშრომელები წერილებსა და გამოსვლებში მთელი გულახდილობით ამბობენ, რომ საჭიროა ზოგი რამ ხელახლა გადააზროთ საკადრო პოლიტიკაში, გავითვალისწინოთ წარსულის გაკვეთილები. ცნობილია, რომ კადრებისადმი საჭირო ნდობას ჩვენში ხშირად განუსაზღვრელი მიმდინარეობით, არსებითად კი უკონტროლობით ცვლიდნენ. კადრებისადმი სათუთი დამოკიდებულების შესახებ სწორი სიტყვებით ზოგჯერ ნიღბავდნენ გულარხეინობას და ყოვლისმომტეკებლობას. საკადრო შემადგენლობის სტაბილურობის გზი ჩვეულებრივ მის უმოძრაობად იქცეოდა.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის პირობებში დაუცხრომლად უნდა ვეზრუნავდეთ ადგილობრივი კადრების ზრდისათვის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის. ამავე დროს ზოგან იმარჯვებდა კუთხური, თვისტომური გაწყობილებანი. ისინი ხელს უშლიდნენ ხელმძღვანელებად ყველა ეროვნების წარმომადგენელთა დაწინაურებას, ხელს უშლიდნენ ქვეყნის რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის, რაიონებსა და ქალაქებს შორის გამოცდილი მუშაკების გაცვლას. ამას მთელ რიგ შემთხვევებში მოჰყვა თვითიზოლაცია, საქმის ერთ წერტილზე გაყინვა, სხვა ნეგატიური მოვლენები. პრაქტიკა დამაჯერებლად ცხადყოფს: ხელმძღვანელების შერჩევა და განაწილება უნდა წარმართოთ ორი გზით — როგორც ადგილობრივი ამხანაგების გამოყენებით, ისე ქვეყნის ცენტრიდან და სხვა რაიონებიდან მუშაკთა გადაადგილების გზით. ამ შემთხვევაში უფრო სწრაფად ვრცელდება გამოცდილება, უფრო სწრაფად მაღლდება კადრების საერთო დონე.

ჩვენს ხალხს პატრიოტიზმი, სიმტკიცე და ნიჭი არ აკლია. მაგრამ ზოგჯერ ადამიანების შემოქმედებითი მიზანსწრაფულობა — ხალხის უძვირფასესი კუთვნილება — უქმად იხარჯება. ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ შემოქმედი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ დამოუკიდებლად იმოქმედონ, აქვთ საკუთარი აზრი და გბედულად კისრულობენ დიდ პასუხისმგებლობას.

ყველა ამ გაკვეთილის გათვალისწინებით პარტია მტკიცედ აღმოფხვრის საკადრო მუშაობის ნაკლოვანებებსა და გადახრებს. ამას მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს ხალხი.

კადრების შერჩევის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმებს შორის პირველ ადგილზე ვაყენებთ მუშაკის პოლიტიკურ თვისებებს. მისი ვალია გამოხატავდეს პარტიის ნებას, მშრომელთა მასების ნებას.

ხელმძღვანელს მოეთხოვება ჩვენი კომუნისტური საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება. მაგრამ ძალზე აუცილებელია აგრეთვე გარკვევთ წარმოვიდგინოთ, შეუძლია თუ არა მას თავისი მოქმედება შეაფასოს საერთო-პარტიული, სახელმწიფო ინტერესების სიმაღლიდან, განჭვრიტოს თავისი გადაწყვეტილებებისა და ქცევის პოლიტიკური შედეგები. ზოგიერთ ხელმძღვანელს, როგორც ჩანს, იმედი აქვს, რომ პოლიტიკურ ავტორიტეტს უმთავრესად ხმამაღალი ლოზუნგებით მოიპოვებს. გაისმის — შევქმნათ სანიმუშო საწარმო, შევქმნათ კომუნისტური ქალაქი! მოწოდებები რომ ჭკუით, დროულად უნდა წამოაყენონ, კოლოსალური ორგანიზატორული მეცადინეობით რომ უნდა განამტკიცონ, — ამაზე ზოგჯერ ნაკლებად ზრუნავენ.

საქმის პოლიტიკური მხარის შეუფასებლობა ვლინდება ქვეყნის სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის განვითარებისადმი არასწორი დამოკიდებულებითაც. უპირველესი საზრუნავის წრიდან ზოგჯერ გამორიცხება ბინების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობა, ჯანსაღი საწარმო ყოფის შექმნა. ბევრი ხელმძღვანელისათვის ჩვეულებრივ ამბად იქცა ამ დარგში დავალების ჩაფუშვა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სტაბილურობას, ჩვენი ქვეყნის პროგრესს ბევრად განსაზღვრავს სწორედ პარტიის სწორი სოციალური პოლიტიკა. ამიტომაც სოციალურ-კულტურული კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, მისი ყველაზე მაღალი დონის მიღწევა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ხელმძღვანელი კადრების პარტიულ აღზრდაში, მთელ ჩვენს საქმიანობაში დიდია აღმშენებლობითი კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლი. კრიტიკა ეს წინააღმდეგობათა გადაწყვეტის, და მაშასადამე, საზოგადოების წინსვლის საშუალებაა. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა განსაკუთრებით აღნიშნა ამ დარგში პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის შეუცვლელი როლი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ხაზგასმულია პარტიის პრინციპული მითითება — არც ერთი პარტიული ორგანიზაცია, არც ერთი მუშაკი არ უნდა დარჩეს კონტროლის, კრიტიკის გარეშე. საჭიროა გულახდილობის, პატიოსნების, პარტიული პრინციპულობისა და სამართლის მუდმივი ატმოსფერო.

ქვეყნის სოციალურ-კონომიკური განვითარების დაჩქარების პრობლემათა გადაჭრაში სრულად უნდა გამოვიყენოთ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გარდამქმნელი ძალა. პარტიის ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობისათვის გრძელვადიანი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის, იდეოლოგიური მუშაობის პრობლემებზე საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალებს, მათზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებს. თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური აზრის უდიდესი მიღწევაა პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია და XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება. ისინი შეიცავენ მთელი მომავალი პერიოდისათვის პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების უზარმაზარ პოტენციალს.

უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმდიდრესი გამოცდილება კომუნისტების აღზრდისათვის, ახალ ამოცანათა გადაწყვეტისათვის, ვისწავლოთ წარსულის გაკვეთილების გათვალისწინება დღევანდელი და მომავალი დღეებისათვის. ეს კი გვავალებს ბევრად უფრო საფუძვლიანად მოვაგვაროთ სკკპ ისტორიის შესწავლა. ადამიანები უნდა განმამტკიცონ შეგნებით: ლენინური პარტიის ისტორია ეს ჩვენი დიდებული წარსული როდია. ეს ყველა კომუნისტის ცოცხალი, დღევანდელი პოლიტიკური საქმისა და გონების განუყოფელი ნაწილია.

პარტია დიდად აფასებს და მხარს უჭერს პატრიოტული გრძნობების ჩვენთვის ყველასთვის საგრძნობ აღმავლობას, გადიდებულ საზოგადოებრივ ინტერესს სამშობლოს ისტორიისადმი, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი, მრავალეროვნული კულტურის სიმდიდრეებისადმი. ისტორია, რეგიონალიცია, მათი ძეგლები ხალხის აღზრდის მძლავრი წყაროა. და ადამიანები ისე უნდა აღვზარდოთ, რომ იყვნენ ხალხის სულის მგზნებარე დამცველები. სულისა, რომელიც ცოცხლობს ისტორიისა და კულტურის ძეგლებში.

უახლოეს ხანს ბევრი რამ უნდა გაკეთდეს განათლების სფეროში. უნდა უზრუნველვყოთ საშუალო და უმაღლესი სკოლის უპირატესი განვითარება — უპირატესი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან შედარებითაც კი, მოვაგვაროთ, უფრო სწორად კი გარდავქმნათ კადრების გადამზადებისა და უწყვეტი პროფესიული ზრდის სახელმწიფო სისტემა. სოციალიზმს არ შეუძლია დაუშვას და არც დაუშვებს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მშრომელთა მნიშვნელოვანი ჯგუფები აღმოჩნდნენ ზედმეტი ადამიანები საზოგადოებაში, რომლებიც არ არიან მომზადებული ახალ პირობებში მუშაობისათვის.

მიმდინარეობს უმაღლესი განათლების გარდაქმნის შესახებ წინადადებათა შემუშავება. ამ მუშაობის აზრია გავაძლიეროთ სპეციალისტთა ზოგადმეცნიერული და პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლება შეეუსაბამოთ ქვეყნის განვითარების მოთხოვნილებებს.

ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს განათლების, წარმოებისა და მეცნიერების ინტეგრაცია. უმაღლესი სკოლა პარტიის საკადრო პოლიტიკის მთელი სისტემის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. უმაღლესი სკოლის გარდაქმნა უნდა მოხდეს ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციულ-მმართველობითი პრობლემების გადაჭრასთან მჭიდრო კავშირით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, თქვა შემდეგ ორატორმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იდეოლოგიური ორგანიზაციების საზოგადოების მთელი სულიერი სფეროს აღჭურვა ინფორმატიკისა და ელექტრონიკის თანამედროვე საშუალებებით. პარტიას წინ ელის დიდი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში იდეოლოგიის, მეცნიერების, კულტურის, ეროვნული მიჯნისაკენ ჩვენი ქვეყანა მიემართება აშენებული სოციალიზმის სრულყოფის, კომუნიზმისაკენ წინსვლის შთამბეჭდავი პროგრამით, მშვიდობისა და განიარაღების, მთელი კაცობრიობის ძალებით კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების მასშტაბური გეგმებით. ეს უაღრესად ახალი, ჭეშმარიტად ისტორიული /გაქანების ამოცანებია, და მათ შევასრულებთ, თუნდაც ზოგიერთ შემთხვევაში მთელი ძალების უკიდურესი დაძაბვა დაგვჭირდეს. შევასრულებთ, რადგან ერთგულად ვიცავთ ლენინის ანდერძს: „არ უნდა გვეშინოდეს ვაღიაროთ საკუთარი შეცდომები, არ უნდა გვეშინოდეს მათი გამოსწორებისათვის მრავალგზისი, ხელმეორე შრომისა — და მიეღწევთ ყველაზე მაღალ მწვერვალს“.

პარტიის მხარეზეა, განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ხალხის უსაზღვრო მხარდაჭერა, სოციალისტური წყობილების ამოუწურავი შესაძლებლობანი. ჩვენს მხარეზეა ცხოვრების სიმართლე და მეცნიერული დასკვნების ძალა. ჩვენს მხარეზეა ჩვენი კომუნისტური საქმის სისწორე და სიდიადე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების პრინციპული დებულებანი, თქვა პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. თ. სოლოვიოვმა, გამოხატავს ჩვენი ხალხის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საარსებო ინტერესებს. მათ მხურვალე გამოხმაურება პოვეს ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში. სწორედ ეს მიგვაჩნია ყრილობის განსახილველად გამოტანილი აჩქარების კონცეფციის წარმატებით რეალიზაციის გადამწყვეტ პირობად. პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზის სრული მხარდაჭერა, ქვეყნის საქმეებთან მეთოთეულის პირადი წილნაყარობის გრძნობა ნათლად გამოვლინდა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნების დროს, საყრილობო დოკუმენტების ფართო და დაინტერესებული განხილვის პროცესში.

ორატორმა დაახასიათა პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა და აღნიშნა, რომ მისი დონის ამაღლების კანონზომიერი შედეგი გახდა ლენინგრადელთა მიერ მეთერთმეტე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი სადირექტივო დავალებების, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის შესრულება. მიღწეულის საფუძველია ყველა კოლექტივის დაძაბული შრომა, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის მასშტაბის გაფართოება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზით მრეწველობამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მატების სამი მეთხედი, ხოლო ლენინგრადმა — თითქმის მთელი მატება.

მაგრამ სკკპ საოლქო კომიტეტმა ჯერ კიდევ ყველაფრის გაკეთება როდი შეძლო საამისოდ, რომ ხელმძღვანელ მუშაკთა ნაწილი ბოლოსდაბოლოს შეელიოს მეურნეობრიობის მოძველებულ, ნებისმიერ მეთოდებს. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყველგან როდი ახორციელებენ ჯეროვანი სიმტკიცითა და თანამიმდევრობით ინტენსიფიკაციის რელსებზე წარმოების გადაყვანის, მართვის ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების დანერგვისადმი კონტროლს.

ჩვენ ჯეროვანი დასკვნები გამოვიტანეთ. შევიტანეთ არსებითი ცვლილებანი გეგმებში, თქვა ორატორმა. გათვალისწინებულია, კერძოდ, რომ მეთორმეტე ხუთწლედში ჩარხმშენებლობა, ელექტრონიკა, ელექტროტექნიკა თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად ვითარდებოდეს, ვიდრე მთლიანად მრეწველობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა ხარისხის ზრდის ყველა რეზერვის გამოსავლენად და ასამოქმედებლად, რათა უახლოეს ხანსვე მიიღონ რეალური და საგრძნობი შედეგი. ჩვენ, თქვა ორატორმა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ლენინგრადის წამყვან გაერთიანებათა პარტიული კომიტეტების ინიციატივის ფართო გავრცელებას მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების შესაქმნელად.

რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გეგმიანი ბაზა თვის ქმედითის ინსტრუმენტს, დროის მოთხოვნებით კადრების ხელახალი ორიენტაციის, ეკონომიკური ზრდის ყველა ფაქტორის ფართო გამოყენებისათვის მათი ბრძოლის შეფასების ობიექტურ კრიტერიუმს წარმოადგენს ტერიტორიულ-დარგობრივი პროგრამა „ინტენსიფიკაცია—90“, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა. პროგრამის რეალიზაციის პირველმა ეტაპმა უკვე მოგვიტანა პრაქტიკული შედეგები, ხოლო შემდგომმა განვითარებამ და გაღრმავებამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვვლინა რეზერვები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გამოვიყენოთ.

ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას კარგად ესმის, რომ საწარმოო ძალებისა და წარმოებებითი ურთიერთობის ფართო მასშტაბის გარდაქმნის რეალურ წარმატებას უშუალოდ განსაზღვრავენ ადამიანები, კადრები— მუშები დაწყებული და დირექტორით დამთავრებული, რეგიონი კომუნისტი თუ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი, და სწორედ ამიტომ მტკიცედ ატარებს გეზს, რათა კიდევ უფრო მეტად განვითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა, გამოუცხადოს უკომპრომისო ბრძოლა იმათ, ვინც „გამოდარებას ელოდება“, არ თვლის საჭიროდ გარდაიქმნას სათანადო მიმართულებით. ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს რთული, მწვავე საკითხი და პრობლემა, რომელთა სწორ და დროულ გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის ტემპზე ადამიანის ფაქტორის ზემოქმედების ეფექტიანობა.

პარტიის საოლქო კომიტეტს, თქვა დასასრულ ორატორმა, თავის მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია კიდევ უფრო შეუპოვრად ზრდიდეს პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა როლსა და პასუხისმგებლობას მთელი რეზერვების სრული გამოყენების, კადრებისადმი მომთხოვნი და ამასთანავე მზრუნველი დამოკიდებულების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებისათვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ᲡᲐᲢᲘᲠᲜᲘᲠᲝ

ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘ. მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები **ალბერტ კაზანჯიანი** (54 კგ-მდე ფონა) და **იური სავოჩკინი** (60 კგ), **ეროსი მარგიანი** (67 კგ) კი მეოთხეფინალში იასპარეზებს.

ᲤᲘᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. ხარკოვსა და ლვოვში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. გთავაზობთ პირველი დღის შედეგებს: **ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ.** მოსკოვის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 10:10, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის გუნდი (ბაქო)-მოსკოვის უნივერსიტეტი — 8:8, ხარკოვის „ლოკომოტივი“-მოსკოვის „ტორპედო“ — 11:9; **ᲚᲕᲝᲕᲘ.** აღმაათის „დინამო“-მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 6:6, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-ლენინგრადის „ბალტიკა“ — 8:7, ლვოვის „დინამო“-კიევის „დინამო“ — 14:10.

ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲜᲝᲒᲐ. ეუღერჰემპტონის (დიდი ბრიტანეთი) ზამთრის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ქალებმა — ანგარიშით 77:40, ვაჟებმა — 80:58.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნებისა და ფინლანდიის ფფლობელთა თასის ფინალი გავიდნენ ესპანეთის „ბარსელონა“ (მოსკოვში ცსკა-სთან განმეორებითი მატჩის წაგების მიუხედავად—84:88. შეგახსენებთ, პირველი მატჩი ესპანელებმა მოიგეს ანგარიშით 100:81) და იტალიის „სკავოლინი“ (იტალიელებმა პირველი მატჩი წაგეს ესპანეთის „ხუვენტუტთან“ — 100:109, მეორე მოიგეს — 103:94. ბურთების ერთნაირი სხვაობის გამო (9) მეორე მატჩში დაინიშნა დამატებითი დრო. გაიმარჯვეს იტალიელებმა — 114:107 და ცხადია, ფინალში ითამაშებენ).

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲒᲝᲜᲝᲒᲐ. ხარკოვში დაწყებულ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდა დუშანბელი ზებინისო რუსტამოვა, ვაჟებში — ლვოველი კონსტანტინე შკოლნი. პირველმა დააგროვა 652 ქულა, მეორემ — 646.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. აშშ-ს ქალაქ ბოკა რეიტონში (ფლორიდის შტატი) დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ვაჟთა ფინალური მატჩი ი. ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო მ. ვილანდერს (შვეიცია) ანგარიშით 3:6, 6:1, 7:6, 6:4. ქალთა ფინალში კრის ევერტ-ლოიდმა (აშშ) სძლია 16 წლის შტეფი გრაფს (გფრ) — 6:4, 6:2.

ᲤᲘᲔᲒᲝᲠᲗᲘ. პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სფრანგეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდების საწვრთნელი მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲗᲐᲨᲘ. მინსკში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. ათი ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერია დიბცევი, რომელმაც 6,5 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან ბალიკინი და ვირნი — 6-6 ქულა, მილშინი, ვალნერისი, მიშჩანსკი და ჩიკოვი — 5,5-5,5.

ს. რ. ᲛᲔᲒᲐᲜᲝᲘᲫᲔ



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, 1944 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი სიმონ რაჟდენის ძე **ᲔᲑᲐᲜᲝᲫᲔ.**

იგი დაიბადა 1917 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ აჭარაში, შრომითი საქმიანობა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა ორჯონიკიძის რაიონის მიწგანში მთავარ აგრონომად, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, შაბანაკომბინატის დამზადების განყოფილების გამგედ, ოსტატ ბეგიანეიდ, სამტრესტის გაერთიანების დირექტორად.

დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და მრავალი მედლით.

1949 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ს. ებანოძე იყო კეთილსინდისიერი, ერუდირებული და კარგი სპეციალისტი. მან დამსახურებული პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვა თანამოსაქმეთა შორის.

ღვაწლმოსილი მუშაკის, ღირსეული მოქალაქის ს. ებანოძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲯᲒᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ.

რედაქტორის მოადგილე
დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

27 თებერვალი ● საქმესი იუწყება

ᲣᲙᲘᲗᲮᲝᲕᲘᲗᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებულ ბირთვული განიარაღების საბჭოთა პროგრამას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის მომავლისათვის, იგი საიმედო საფუძველს უქმნის პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ეს ნათქვამია უნგრეთის სოლიდარობის კომიტეტის ბუდაპეშტში გამართულ სხდომაზე მიღებულ „განცხადებაში.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნგრეთის საზოგადოებრიობა მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ძალისხმევას თერმობირთვული კატასტროფის საშიშროებისაგან კაცობრიობის ხსნისათვის.

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ. სსრ კავშირის მიერ წამოყენებული დედამიწაზე ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა დიდ უურადღებას იმსახურებს და იგი უნდა მიიღოს ვაშინგტონმა, წერს მექსიკის გაზეთ „ექსელსიორში“ გამოქვეყნებულ სტატიაში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ა. პაპანდრეუ. ქენევაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხელმძღვანელთა შეხვედრამ, ნათქვამია სტატიაში, ჩაგვიხსნა იმედი, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ მოლაპარაკებას, რომლის მიზანია გამალებული შეიარაღების ალაგმვა, მათ შორის კოსმოსში, და ბირთვული ომის დაწყების საფრთხის აღკვეთა. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ შემუშავება არა მარტო ხელს უწყობს შეიარაღების ორმხრივ შემცირებას და სამხედრო წონასწორობის უზრუნველყოფას, არამედ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების პირდაპირი დარღვევაა.

ᲒᲝᲜᲜᲘ. „იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 15 იანვრის განცხადებაში, უწინარეს ყოვლისა მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი, ისინი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის ძირეულ ინტერესებს ეხება“. ეს ნათქვამია მიმართვაში, რომელიც დიუსელდორფ ფ ის (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია) „მშვიდობისათვის მებრძოლი დედების“ სამოქალაქო ინიციატივის წევრებმა გადასცეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის დეპუტატებს.

ქვეყნად ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის გამიზნულ საბჭოთა კავშირის წინადადებებს, ნათქვამია მიმართვაში, დიდად უჭერს მხარს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი. „ამიტომ, —ხაზგასმულია დოკუმენტში, — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან მოვითხოვთ კონსტრუქციულად მოეკიდონ საბჭოთა საშვიდობო ინიციატივების განხილვას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს მშვიდობის შენარჩუნებას ჩვენს პლანეტაზე“. ვიცხოვროთ მშვიდობიანად, აღინიშნავა მიმართვაში, — ნიშნავს მოგესმოთ დედამიწაზე ყველა იარაღი, განსაკუთრებით ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებანი. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებანი. მათი განხორციელება რეალურ სინამდვილად აქცევს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი კაცობრიობის არსებობას.

„მშვიდობისათვის მებრძოლი დედების“ სამოქალაქო ინიციატივამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა ყოველი ღონე იხმაროს საბჭოთა სამშვიდობო წინადადებების განსახორციელებლად. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უარი უნდა თქვან ფედერაციული რესპუბლიკის ყოველგვარ მონაწილეობაზე ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის საშიში გეგმების განხორციელებაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაიტანონ აქ განლაგებული მთელი ამერიკული ბირთვული და ქიმიური იარაღი.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება, რომელიც შეიცავს წინადადებებს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის შესახებ, სახავს მშვიდობისა და განიარაღების რეალურ გზას, განაცხადა აქ ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. კოსტა დი აბრეუ სოდრემ. უცხოელი ჟურნალისტების წინაშე გამრსვლისას მან აღნიშნა, თუ რაოდენ სერიოზულია ბირთვული კონფლიქტის დაწყების საშიშროება.

ᲐᲠᲐ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას დიდ შეფასებას აძლევს განის მთავრობის გაზეთი „ფიფლზ დეილი გრეფიკი“, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქ ჩამოყალიბებულია ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის ფართო მასშტაბის პროგრამა.

სსრ კავშირის ბრძოლას ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, წერს გაზეთი, მთელ მსოფლიოში უჭერს მხარს ხალხები, რომლებმაც მოიშორეს კოლონიალიზმის უღელი და ცდილობენ უმოკლეს ვადებში ბოლო მოუღონ მრავალსაუკუნოვან ჩამორჩენას, თავიანთ მომავლის იმედებს, საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების რეალიზაციას უკავშირებენ.

● ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲔᲓ

ᲠᲝᲛᲘ. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ იტალიის მთავრობამ შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ პარლამენტში მოეწონებინათ 1986 წლის საფინანსო კანონის პროექტი. ეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარ მუხლებს, ითვალისწინებს, რომ მკვეთრად შეიკვეცოს მრავალი სოციალური პროგრამის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საპენსიო უზრუნველყოფის ასიგნებანი.

პარლამენტში პროექტი მკაცრად გააკრიტიკეს არა მარტო ოპოზიციის, არამედ მმართველი პარტიის წარმომადგენლებმაც. მან გამოიწვია მძლავრი პროტესტები მთელ ქვეყანაში. კომპარტიამ მას უწოდა „მცდარი და სოციალურად უსამართლო“. დოკუმენტი არაერთხელ გადაივი ერთი პალატიდან მეორეში, სადაც მასში შეჰქონდათ მრავალი ცვლილება. ცალკეული მუხლების გამო კენჭისყრის დროს მთავრობა არაერთხელ აღმოჩნდა უმცირესობაში და იძულებული იყო დაეყენებინა ნდობის ვოტუმის საკითხი, რათა უარეყო ოპოზიციის შესწორებები.

ᲰᲐᲘᲢᲘ: ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ

ᲞᲐᲞᲐᲜᲐ. **პორტ-ო-პრენსიდან აქ მოღებული ცნობების თანახმად, ჰაიტის დედაქალაქში ახალი ძალით იფეთქა სახალხო გამოსვლებმა.** გრანდიოზული მანიფესტაცია გაიმართა პორტ-ო-პრენსის საერთაშორისო აეროპორტის რაიონში, მასობრივი დემონსტრაციების მონაწილეებმა ჩაიარეს ჰაიტის დედაქალაქის ქუჩებში. მათი მონაწილენი მოითხოვენ დამყარდეს ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატია, დაისაჯოს სისხლისმსმელი დიქტატორ დიუვალიეს ყველა დამქაში.

მ